ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 26 სექტემბერი 1996 №98 (323) ფასი 50 თეთრი

# ტორპედო გაავაძევეთ, გამოუშვით სპარტაკი!



## ერთადერთი!

თბილისის „დინამო“ ერთადერთია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთაგან, რომელიც ჩემპიონთა თასზე არ დაუშვეს და დღემდე მაინც შემორჩა ევროთასების გათამაშებას!

## პირველად!

რუსეთის გუნდი ევროთასებიდან ყოფილი საბჭოთის რესპუბლიკამ პირველად გამოაგდო და რუსთა ეს პირველი მძლეველი თბილისის „დინამოა“! აქამდე რიგის „სკონტო“ დამარცხდა მოსკოვის „სპარტაკთან“ (1993-94, ჩემპიონთა თასი), ერევნის „არარატი“ კი მოსკოვის „დინამოსთან“ (1995-96, თასების თასი).

## აგრეთვე...

– უეფას თასის ამ გათამაშების სხვადასხვა ეტაპზე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკელების 21 გუნდი ჩაება, დარჩა კი ორი — მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“!

– ამ ევროტურნირის სულ პირველი, შესარჩევის შესარჩევი წრე დაიწყო 54 გუნდმა. ამათგანაც ორი დარჩა — ვარშავის „ლეგია“ და თბილისის „დინამო“!

## და კიდევ...

– თბილისის „დინამო“ მეთექვსმეტედფინალში გავიდა!

ეს ვერ შეძლეს: მიუნხენის „ბაიერნმა“, „პარმამ“, „სელტიკმა“, „ასტონ ვილამ“, „არსენალმა“ და სხვებმა. მათ შორის რუსეთის ჩემპიონმა „ალანიამ“ და უკრაინის ჩემპიონმა კიევის „დინამომ“.

– უეფას თასის წლევანდელ გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ ჯერ არ წაუგია!

## ალარ დაგვიშვებენ ჩემპიონთა თასზე?



## ხვალ შვეიცარიაში

ხვალ უეფას თასისა და თასების თასის მორიგი ეტაპების წილისყრაა: ჟენევის „ნოგა ჰილტონში“ გაირკვევა თბილისის „დინამოს“ მეტოქე მეთექვსმეტედფინალში. თუმცა, თუ დღეს „ბათუმი“ ჰოლანდიაში სასწაულს მოახდენს, მაშინ უკვე ჩვენი ორი მოწინააღმდეგის ვინაობა გვექნება სარკვევი.

ვითვალისწინებთ გულშემატკივართა ინტერესს და გაცნობებთ, რომ ხვალ, თბილისის დროით 16 საათიდან „სარბიელის“ მკითხველებს შეუძლიათ დარეკონ ჩვენს რედაქციაში და შეიტყონ წილისყრის შედეგები.

**ტელ: 39-48-29**

## დღეს ეინდჰოვენში...

24 სექტემბერს ბათუმიდან ჰოლანდიაში ჩარტერული რეისით გაფრინდნენ „ბათუმის“ მოთამაშეები, ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები, სულ 50-მდე კაცი. ეინდჰოვენს ვერ გაემგზავრა მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ავთანდილ გორგილაძე, რომელიც გულის შეტევის გამო საავადმყოფოში დააწვინეს. პირველი შეხვედრის მონაწილე ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა და გუნდს გაჰყვა, მათ შორის ზურაბ მინდაძეც, რომელმაც ფოთის „კოლხეთთან“ შეხვედრისას ფეხი იტკინა, თუმცა, საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

## წლის ციტატა

საერთოდ, ჟურნალისტებს ხშირად ვსაყვედურობ, მაგრამ დღეს გაზეთ „სარბიელს“ მადლობა გადავუხადე. გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადებაში ძალიან დამეხმარა „სარბიელში“ გამოქვეყნებული ფრაზა. მთელს დილმის ბაზაზე გავაკარი ეს გაზეთი. დადიოდნენ ბიჭები, შეხედავდნენ და კბილებს აკრაჭუნებდნენ, ერთი თამაში დაიწყოსო...

დავით ყიფიანი, 24 სექტემბერი

## ჭადრაკი და ომი ერევანში

მერვე ტურში ბრწყინვალედ ითამაშა საქართველოს ქალთა ნაკრებმა. მათ უნგრელები გაანადგურეს 3:0. ჩიბურდანიძემ ეულად დარჩენილ სოფი პოლგარს მოუგო, იოსელიანმა მადლის, გურიელმა ლაგუსს.

გუშინ კი ტანკებიან ერევანში ოლიმპიადა მაინც გაგრძელდა. ჩვენმა ქალებმა პოლონეთს მოუგეს 2,5:0,5 და 21,5 ქულით ლიდერობენ. მეორეზეა უკრაინა 19 ქულით.

ვაჟთა ნაკრებმა მერვე ტურში ჩინეთის გუნდი დაამარცხა 2,5:1,5. გამარჯვება გიორგაძემ და აზმაიფარაშვილმა შეძლეს, სტურუა და ზაიჩიკი კი მეტოქეებს ფაიმზე შეუთანხმდნენ. გუშინ ვაჟთა ნაკრები 1,5:2,5 ესპანეთთან დამარცხდა.

ვაჟებში 27 ქულით რუსეთი ლიდერობს, მეორეზე 23,5 ქულით ესპანეთია, საქართველოს ნაკრებს კი 22 ქულა აქვს.

დღევანდელ „სარბიელს“ ახლავს ჩანართი, ამიტომ მისი ფასი 50 თეთრია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაინც ძლიერმა გაიმარჯვა

**დინამო 1:1 ტორპედო**

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 24 სექტემბერი

1 ზოიძე
5 მაჭავარიანი
3 ლობჟანიძე 2 კალაძე
4 კუდინოვი 10 ჩხაიძე
7 კიკნაძე
9 კობიაშვილი
8 ჯამარაული
11 იაშვილი 6 გოგიჩაიშვილი

8 კამოლცევი 9 კამნევი
10 საველიევი 7 სმერტინი 11 აგაშკოვი
4 ლეონჩენკო 5 ბურჩენკოვი
6 ბოროდკინი 3 მახმუტოვი
2 ვოსტროსაბლინი
1 პჩელნიკოვი

შეცვლა: კუდინოვი — 14. კერძევაძე (40), სმერტინი — 13. ნიკოლაევი (52), კამოლცევი — 15. პროკოპენკო (52), ჯამარაული — 15. ინალიშვილი (55), იაშვილი — 16. დემეტრაძე (65), ბურჩენკოვი — 14. პაზიომოვი (71)

1:0 ჯამარაული (49), 1:1 ვოსტროსაბლინი (83)

გაფრთხილება: კუდინოვი, ბოროდკინი, ლეონჩენკო, მახმუტოვი, კამნევი

მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)

## ამოვისუნთქოთ!

თამაშის 83-ე წუთზე ბორის ვოსტროსაბლინმა საჯარიმოდან ანგარიში რომ გაათანაბრა, ბევრი იფიქრებდა, ახლა ამათ რა გაუძლებსო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ დარჩენილ 7 წუთში, მსაჯმა რომ 11-ად აქცია, „ტორპედოს" ერთიც რომ გაეხერხებინა, სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით შემდეგ ეტაპზე გავიდოდა. მაგრამ პირიქით კი მოხდა: „დინამომ" მოსკოველთა კარს არნახული შტურმი დაატეხა და, მართალია, ანგარიში ვერ შეცვალა, მაინც გამარჯვებული გამოვიდა. ჯერ იყო და, კერძევაძემ შორიდან დაარტყა და კარს მცირედით ააცილა, მერე მისმა ასისტენტმა გოგიჩაიშვილმა მეკარე მოატყუა, ბურთი დემეტრაძეს მიუვიდა. მანაც ყველაფერი გააკეთა ამ მომენტის გამოსაყენებლად — მეკარეც დასცა, მცველიც, მაგრამ მისი დარტყმული ძელთან მდგომმა მახმუტოვმა ცარიელი კარიდან გამოიტანა. ამის შემდეგ გოგიჩაიშვილი ორჯერაც ერთობ სახიფათოდ დაემუქრა სტუმართა კარს, მაგრამ მისი შეტევები მარცხნიდან იყო წამოწყებული და რადგან ცაციათი დარტყმა დააყოვნა, ორჯერვე დაჰკარგა შანსი. ერთხელაც ჩხაიძემ ჩააწოდა საჯარიმოში და ბურთისთვის მებრძოლი დემეტრაძე და კიკნაძე ერთმანეთს შეეჯახნენ, გადმოვარდნილს ინალიშვილმა დაჰკრა, მაგრამ სუსტად და პჩელნიკოვმა იოლად აიღო. ერთ-ორ წუთს კიდევ ვინერვიულეთ. ასეთი მომენტების გამოუყენებლობა იქნებოდა? მაგრამ აი, როგორც იქნა, თამაშიც მორჩა და რუსებზე გავლით მეთექვსმეტედფინალში გავედით!

ნუ გაიკვირვებთ, თამაშზე საუბარი ბოლოდან რომ დავიწყე, მატჩის ყველაზე დაძაბული და მაინტრიგებელი ნაწილი სწორედ ეს იყო. რაიმეს მოსმენისას ან კითხვისას კი ყურადღების ხარისხი შუაში ქვეითდება და თავსა და ბოლოშილაა მაღალი. ასე რომ, ახლა კარგ ხასიათზე მყოფნი ჩვეულ რიტმს მივყვეთ და მიმდევრობით ვთქვათ.



ტორპედო ჯამარაულის გოლებმა მოინელა

## ივანოვი — სიტყვის კაცი

მოსკოვური მატჩის შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე, „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი დაგვპირდა: საპასუხო თამაშში ტაქტიკას შევცვლი, დღეს შეცვლაზე გამოსულებს ვათამაშებ, მოკლედ, დიდ ბრძოლას გაგიმართავთო. ისიც დააყოლა, გაფრთხილებათა რაოდენობა თბილისში ჩვენ მეტი გვექნებაო.

მართლა ასე მოხდა. „ტორპედომ" შემადგენლობა შეცვალა. ნიკოლაევისა და ავაქოვის ნაცვლად საველიევი და ბოროდკინი გამოიყვანა. ავაქოვის მაგივრად თავდასხმაში მარცხენაფლანგელი კამნევი გაამწესა, ნიკოლაევის ადგილზე, ცენტრში — სმერტინი, მარცხენა ფრთა საველიევს მიანდო, ბოროდკინი კი ჯამარაულს აადევნა. ამ ყოველივემ თავიდან კიდეც გაუმართლა. პირველ ტაიმში „ტორპედომ" „დინამოზე" მეტი იმოძრავა, თავიც უფრო არ დაზოგა და უფრო სწრაფიც იყო, მაგრამ ამით ვერ იხეირა. სიმართლე რომ ვთქვათ, ორრაუნდიანი დუელის მანძილზე მოსკოველებს ისეთი არაფერი მოუმოქმედებით, რითაც ზოგადად ფეხბურთი და კერძოდ ესა თუ ის გუნდი ფასობს. ტორპედოელები ერთმანეთისგან მხოლოდ ნომრებით და თმის ფერით თუ განირჩეოდნენ, თორემ თამაშით ყველა ერთფეროვნულად და უსახურად გამოიყურებოდა. ჰა-ჰა, კამნევმა თბილისში დაგვამახსოვრა თავი აზრიანი მოქმედებით, მაგრამ არც ეს იყო ის, რასაც ველოდით და ამასაც კი არავინ ეშველებოდა.

ტაქტიკურ ცვლილებათა გარდა ის სიტყვაც შეასრულა ივანოვმა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთო, რომ დაგვპირდა. ასეც იყო, ოღონდ თუ პირველ ტაიმში უფრო ბრძოლას ჰგავდა მათი თამაში, მეორეში პირდაპირ ომზე გადავიდნენ და სანამ ძალა ეყოთ, სისხლიანადაც ითამაშეს. ასე განსაჯეთ, „დინამომ", იმის გამო, რომ მოთამაშენი უხეშობისას ტრავმას ტრავმაზე იღებდნენ, თითქმის 10 წუთი, ფაქტიურად, უმცირესობაში გაატარა. ამიტომაც იყო, რუსებმა გაფრთხილებები ბლომად რომ აიკიდეს. მაგრამ კუდინოვიც თუ მათსავით ყვითელ ბარათს იმსახურებდა, დღევანდელ ფეხბურთში მოთამაშეებს რისთვისღა აძევებენ, გაუგებარია. მოსკოველებს თავდადებამ, უკეთ კი, გაცოფებამ, ვერ უშველა. სისხლიანი თამაში მაშინაა ერთგული მოკავშირე, როცა ტოლძალოვან გუნდს ეთამაშები და თანაც თანამედროვე საფეხბურთო კანონებით რეალურ ძალას წარმოადგენ, თორემ გააზრებულ და ჭკვიანურ, ამასთან ტექნიკურ თამაშთან რუსული „ბეიბეგი" ყოველთვის განწირულია. ივანოვს იმის იმედი ჰქონდა, რომ ძლიერი ყოველთვის ვერ იმარჯვებს, მაგრამ ამის შანსი ძალზედ ნაკლებია და ამჯერადაც ჭამა პური სამართალმა.

## გარისკა თუ არა „დინამომ"?

ბოლო დროს დაგვჩემდა ტექნიკასა თუ გუნდის სათამაშო სქემებზე დეტალური ბჭობა. ხშირად ჩვენი ჩემპიონატის ყოვლად უინტერესო მატჩებსაც კი ჩავეძიებით ხოლმე. რომის პაპზე უფრო კათოლიკობას არ დავიჩემებთ და ამ საქმეში დიდ პროფესიონალობას ვერ დავიბრალებთ, მაგრამ მაინც, რაკი ესეც ფეხბურთის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, გვერდსაც ვერ ავუვლით.

ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. არა, გასამართლება არც არავისი გვაქვს მიზნად, უბრალოდ, თავს უფლებას მივცემ ის გუნდი განვიკითხო, რომლის იმედი მთელ ქართულ საფეხბურთო სამყაროს აქვს და რომელზეც გული ბევრ სპეციალისტზე ნაკლებად როდი შეგვტკივა.

იმ განლაგებას, რომლითაც „დინამო" „ტორპედოს" წარუდგა 60 ათასამდე ქართველი მაყურებლის თვალწინ, საზოგადოდ, 3-5-2-ს უწოდებენ. მგონი, ამას ახსნაც არ უნდა, რომ ასეთი სქემა სამ გამოკვეთილ და კიდევ ორ ნომინალურ მცველს შეიცავს, რომლებიც თავიანთი გუნდის შეტევისას ნახევარმცველებად გარდაიქმნებიან. ასეთ მოთამაშეთა კლასიკურ მაგალითად რევიშვილი გამოდგება. უდაოა, რომ მთელი ფლანგის მაკონტროლებელს ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი მცველის თვისებებიც, ართმევიდან დაწყებული, პოზიციის შერჩევის ცოდნით დამთავრებული და შემტევის საუკეთესო მხარეებიც — სისწრაფე, დრიბლინგი და გამთამაშებელზე არანაკლებ კარგი მოედნის ხედვა. გამძლეობაზე აღარას ვამბობ, რადგან ფლანგებით მოთამაშე გუნდში ასეთ კაცს ყველაზე მეტი დატვირთვა აქვს და პასუხისმგებლობაც კოლოსალურია.

ახლა ის ვნახოთ, ვის უნდა შეესრულებინა ეს სამუშაო „დინამოში"? 35 წლის კუდინოვს, რომელსაც „პადკატისა" და პოზიციის შერჩევის პროფესორის ტიტულს ვერ წაართმევ, მაგრამ დრიბლიორობას და მალემსრბოლობას კი ნამდვილად ვერ დააბრალებ კაცი. ამიტომაც იყო, დიმა შეტევაში სახიფათოდ რომ ვერ ერთვებოდა და დაცვაშიც არცთუ იშვიათად ცდებოდა. ხუმრობა ხომ არ არის — ორი „თანაფლანგელის" დაჭერა და მათ შორის რუსთაგან ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და ტექნიკური საველიევის განეიტრალება?



ასეთ სურათს რუსთა უხეშობის გამომკიდე ხშირად ვიხილავდით

რაც შეეხება ჩხაიძეს, მას უფრო უკეთ აეწყო თამაში. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ აგაშკოვმა მოსკოვურ მატჩთან შედარებით უკეთ, მაგრამ მაინც ცუდად ითამაშა. მთელი თამაშის მანძილზე ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი გარღვევა-ჩაწოდებაც ვერ გაახერხა. ამაში დამნაშავე თავად ჩხაიძეც იყო, რომელიც ბოლო დროს, როგორც მცველი, სულ უფრო უკეთ წარმოგვიდგება. თუმცა, მის თამაშს ისეთი თვისებებიც ახასიათებს, რომლებითაც თავს ვერ მოიწონებს. ოდენ სწრაფი დრიბლინგი ბევრი არაფერია, მითუმეტეს, რომ ჩხაიძის გადაცემები და ჩაწოდებები საკმაოდ ნაჩქარევი და უზუსტოა საიმისოდ, რომ იღბლიანად მოგერიების შემთხვევაში მეტოქეს ბურთი თავისსავე, მიტოვებულ ზონაში დაახვედროს.

დაცვის ცენტრზე აუგის თქმა ცოდვა იქნება. კალაძეცა და ლობჟანიძეც ერთობ სარგებლიანად და საიმედოდ გაისარჯნენ. მაჭავარიანიც კარგად აზღვევდა მათ იშვიათი შეცდომებისას და, მადლობა ღმერთს, აქედან დიდი ხიფათი არ შექმნილა.

პრეტენზია უფრო ნახევარდაცვის ცენტრთან უნდა გვქონდეს. სწორედ კიკნაძის შეცდომები და ჯამარაულისა და კობიაშვილის ოდნავ ზედმეტი ინდივიდუალიზმი იყო იმის მიზეზი, რომ „ტორპედომ" კარგა ხნით ცენტრში გვაჯობა. თავდასხმას რაც შეეხება, გასაკვირი მხოლოდ გოგიჩაიშვილის აქ გამოჩენა იყო — კახიმ, ალბათ, ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო, ხომერიკის ადგილი დაიკავა. შეიძლება ითქვას, რომ გოგიჩაიშვილი, როგორც თავდამსხმელი, არ შედგა. იგი აშკარად ვერ გრძნობდა თავს ისე, როგორც თევზი წყალში, ანუ ისე, როგორც თავის ფლანგზე. თუმცა გოგიჩაიშვილის თამაშს მაინც ჰქონდა თავისი მარგი ქმედების კოეფიციენტი და ეს მეტოქის მცველთა დატერორებაში გამოიხატებოდა. კიდევ ერთხელ განგვაცვიფრა იაშვილმა თავისი ჟინიანობით და ბურთისთვის ბრძოლის უნარით: როგორც ჩანს, მისი ასე თამაში ახალი ჩვეულებაა და აწი არც უნდა გაგვიკვირდეს.

საერთო სურათი ასეთი იყო: „დინამოს", ფაქტიურად, მოშიშვლებული ჰქონდა მთელი მარჯვენა ფლანგი, ჰყავდა არცთუ მობილური ცენტრი და ერთობ სათუო და ექსპერიმენტული თავდასხმა.

ასეთ სქემატურ მონახაზში კარგად ჩაეწერა კერძევაძე, რომელსაც ამ პოზიციაზე თამაშის გამოცდილება შარშანდელი ჩემპიონატის მატჩებიდან ჰქონდა. კერძევაძეს შეეძლო მატჩის თანა-გმირიც გამხდარიყო და ანტიგმირიც. ჯამარაულს იმ უბრწყინვალეს დარტყმამდე ხომ სწორედ მან მიაწოდა ბურთი. ჩვენს კარში გოლის გასვლამდე კი ჯარიმა მან აიკიდა. ახლა, როცა, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ამაზე ლაპარაკი შეიძლება არც ღირდა, მაგრამ სამომავლოდ იქნებ ეს მცირე კრიტიკაც გამოგვადგეს. თუ მივიღებთ, რა თქმა უნდა.

## გვჯეროდეს ხალხთა მეგობრობისა?

ამ შეხვედრაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად თავიდანვე მაყურებელთა მხარდაჭერას თვლიდნენ. პირადად იმ აზრისა ვარ, რომ თუ ერთი გუნდი მეორეს ბევრად სჯობს, ეს კოზირი ბევრი ვერაფერი ნუგეშია. მაგრამ, როცა „დინამო" „ტორპედოზე" ათი თავით მაღლა არ დგას, ამ ფაქტორს მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქომაგთაც არ უმტყუნეს საყვარელ გუნდს. სტადიონი თითქმის ბოლომდე შეავსეს, თუ უეფას მიერ ტაბუდადებულ შემოულობავი მინდვრის უახლოეს მწკრივებს და პირველი იარუსის ერთ სკამებაყრილ სექტორს არ ჩავთვლით. ეს კი ადგილთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 20 პროცენტია. ის, ვინც ბედნიერი 80 პროცენტის მფლობელი იყო, ძველებურად ხმაგაკმენდილი არ გახლდათ. აქა-იქ „დინამო!" „დინამო!"-სთან ერთად „საქართველო!" „საქართველოც!" გაისმა. ხალხის მიერ აგორებული ტალღებიც ვიხილეთ. სასულე ორკესტრი კი, ისევე როგორც კალათბურთზე, არც აქ გაჩერებულა. ერთი სიტყვით, ჩანს ფეხბურთი კვლავ იბრუნებს ჩვენს გულებში ხსოვნის მტვერწაყრილ ადგილს და ხალხის ინტერესი მის მიმართ იზრდება.

უეჭველია, ამის მიზეზი „დინამოს" წარმატებათა გარდა ისიც იყო, რომ ამჟამინდელი მეტოქე რუსული გუნდი გახლდათ. ეს ვისთვის ნოსტალგიური, ვისთვის კი აღმგზნები მომენტი იყო.

ამ დღეს არ მოგვისმენია ტრადიციული „ეთენშენ! ეთენშენ!". ისევე, როგორც მოსკოვში, თბილისშიც ინფორმაცია ქართულ-რუსულად მოგვეწოდა. ვითომ ამით პატივი ვეცით ერთმანეთს? მართალი გითხრათ, არ მჯერა ზოგადად ხალხთა მეგობრობისა, თორემ ნორმალურ ადამიანთან, გინდა რუსთან, გინდა სხვასთან, მეგობრობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. როგორ აფასებს ერთმანეთს ქართველი და რუსი ხალხი, ეს მასის რეპლიკებში მოსკოვსა თუ თბილისშიც კარგად გამოჩნდა და მოედანზეც. მოკლედ, ფეხბურთმა ჩვენს შორის ტოლ-სწორობა ვერ დაამტკიცა, უძლიერესი კი გაარკვია. ინდივიდები კვლავ მეგობრებად დარჩნენ. ზოგადად კი, არა მეგობრობამ, არამედ იმან გაიმარჯვა, რასაც ფეხბურთის თამაშის უკეთ ცოდნა ჰქვია.

**მახტანგ ბზიკაძე**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**



„დინამომ" არც ომში დაუდო ტოლი „ტორპედოს"





# როგორ გავაჩეროთ ჯამარაული?

ორივე გუნდის მწვრთნელს პირველი შეკითხვა ერთდროულად დაუსვეს და იგი ორთაბრძოლის მოტივაციას ეხებოდა. პირველმა, წესისამებრ, სტუმარმა, ვალენტინ ივანოვმა გვიპასუხა:

— ამ თამაშის მოგებისთვის ჩვეულებრივი პრემია იყო დაწესებული, თითქმის ისეთივე, რაც რუსეთის ჩემპიონატში მოგებული მატჩისთვის გვერგება. აქ მითხრეს, თითქოს, 20 ათასი დოლარი იყო დანაპირები, მაგრამ ეს ტყუილია. რაც მოსკოვის მატჩზე გვქონდა, აქაც ის ჰონორარი იყო...

— ჩემს ძველ მეგობარს, სლავა მეტრეველს შევხვდი მის აგარაკზე. სადილზე საათი ვილაპარაკეთ. ჩვენი გუნდისგან საჩუქრად ორი ათასი დოლარი გადავეცი.

ამისთვის დავით ყიფიანმა ივანოვს მადლობა გადაუხადა და ისიც აღნიშნა, რომ „ტორპედო" და პირადად ივანოვი მეტრეველს მოსკოვში მკურნალობისასაც დიდად დაეხმარნენ.

„ტორპედოს" მწვრთნელი თავისი მოთამაშეების უკმაყოფილო გახლდათ. ამასთან კი განსაკუთრებით სამარქაფონი გამოჰყო.

— შეცვლაზე შემოსული სამივე ფეხბურთელის უკმაყოფილო ვარ. ვერ გამიმართლა ცენტრმაც. სმერტინს, ლეონჩენკოს და ბურჩენკოვს ბევრი წუნი ჰქონდათ.

— ჯამარაულმა ბრწყინვალე გოლი გაგვიტანა, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ მოსკოვში მის მიერ გატანილი გოლი მეკარის შეცდომის ბრალი იყო. სწორედ ამ გოლებმა გაგვტეხა საბოლოოდ.

— „დინამო" ჩვენზე ოდნავ ძლიერია.

— თამაშის შედეგი ლოგიკურია, თუმცა ცოტა რომ გაგვმართლებოდა, სხვაგვარადაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

— „დინამო" პირველ თამაშში უფრო ძლიერი იყო. მისგან ასეთ თამაშს არ ველოდით. ჩემი სისულელე იყო ის, რომ „დინამოზე" რუსთავის თამაშის მიხედვით ვიმსჯელე, რომელშიც ნახევარი ძალით ითამაშეს.

— თბილისელები ღირსეულად თამაშობენ, ფეხბურთელებიც ღირსეულნი ჰყავთ. რა თქმა უნდა, „მილანთან" ბრძოლა გაუჭირდებათ, მაგრამ საშუალო დონის ევროპულ გუნდთან თანაბრად თამაში შეუძლიათ.

— რამდენიმე დინამოელი ძალიან მოგვეწონა და ვეცდებით, ისინი ჩვენს გუნდში გადავიყვანოთ. კონკრეტულად ეს ჯამარაულს და გოგიჩაიშვილს ეხებათ. სხვების კარგი თამაშიც არ გამოგვპარვია, მაგრამ ვინ მოგცემს...

ივანოვი ამით მორჩა, სულ 10-15 წუთი დაგვითმო, მერე კი დავით ყიფიანმა, მართალია, ვრცლად, მაგრამ არცთუ წინანდებურად ხანგრძლივად ილაპარაკა — სტუმრები მყავსო.

— ჯამარაულს კოჭ-წვივის სახსრის კარგა მოზრდილი ჭრილობა აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, 9-ში იტალიასთან ითამაშებს. რაც შეეხება კუდინოვს, ზუსტად არ ვიცი. მეეჭვება, რომ მისი ტრავმა სერიოზულია. კუდინოვი მებრძოლი ბიჭია და რადგან შეცვლა მოითხოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ გაგრძელება არ შეეძლო.

— გეთანხმებით, რომ გოგიჩაიშვილმა თავდასხმაში თამაშით თავისი საუკეთესო თვისებები ვერ გამოავლინა, მაგრამ ეს სულა ტაქტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახები. როცა გუნდს 1:0 უგებ, იგი ვალდებულია, შემოგიტიოს. პირველ ტაიმში ბოროდკინი ჯამარაულს კარგად ეთამაშებოდა, თორემ სხვაგვარად რომ ყოფილიყო, გოგიჩაიშვილს უკეთ მოქმედების საშუალება უნდა მისცემოდა.

— ახლა რომ ამბობენ ტორპედოელები, არც ეგრეა საქმე. ვიცი, როგორი აჟიოტაჟი გამოიწვია ჩვენმა შეხვედრამ, ისიც ვიცი, როგორი პრემიები ჰქონდათ. უბრალოდ, სიმართლე რომ ვთქვათ, თამაშისას ბევრი შეცდომები დაუშვეს. სმერტინი და ნიკოლაევი, რომლებიც მოსკოვში ერთდროულად ათამაშეს, ცენტრალური ნახევარმცველები არიან, ესენი კი ართმევაზე არ ფიქრობენ და ამიტომ ჯამარაულს გახსნილად თამაშის საშუალება მიეცა. მას კობიაშვილმაც აუბა მხარი, აქტიური იყო ჩხაიძე, ხომერიკმა და იაშვილმაც კარგად ითამაშეს.

— დღევანდელ თამაშში ოთხი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გვქონდა. არ მესმის, რატომ ვერ გამოვიყენეთ, რაგბს ხომ არ ვთამაშობდით. გოგიჩაიშვილს, დემეტრაძეს, ჩხაიძეს და ინალიშვილს რომ ჰქონდათ, „ტორპედოს" ესეთი მომენტები არც ჰქონია. ერთი იყო, მე-7 წუთზე კამოლცევმა რომ დაარტყა და ზოიძემ აიღო.

— ივნისიდან მოყოლებული გუნდი კარგ დონეზე გვყავდა. ახლა ტრავმებისაც მეშინია და იმისაც, რომ ნელ-ნელა ბიჭებს დაღმასვლა დაეწყებათ.

— მთლიანობაში მადლობა მინდა გადავუხადო გუნდს, მაგრამ იმასაც აღვნიშნავ, რომ თამაშით უკმაყოფილო ვარ. ხშირად ინდივიდუალურად ცდილობდნენ გაღწევას. გათანაბრებისას ფიზიკური მომზადებისაც შემეშინდა, მაგრამ სწორედ მაშინ აიწყვიტეს.

— თამაშზე ძლიერ იმოქმედა იძულებითმა შეცვლებმა. იაშვილიც, რომელმაც აშკარად დიდი სამუშაო შეასრულა, დაიღალა. როგორც კი ჯამარაული გავიდა მოედნიდან, „ტორპედომ" მაშინვე მცველის ნაცვლად თავდამსხმელი გამოიყვანა.

— დაღლა ბევრს დაეტყო. კიკნაძეს რაც შეეხება, ისეთია, პირველ წუთებშიც კი მგონია, დაიღალა-მეთქი.

— ბიჭებს თამაშის და „ტორპედოსი" არ ეშინოდათ. უფრო მაყურებლის შიში ჰქონდათ. ამხელა აუდიტორიის წინაშე არასდროს უთამაშიათ და უნდოდათ, თავი გამოეჩინათ.

— მომდევნო ეტაპზე ძლიერი გუნდიც რომ შეგვხვდეს, მასაც ბოლომდე ვეთამაშებით. იყოს, ვთქვათ, „რომა". მერე რა? ჩვენც ჩავალთ იმ რომში და ვნახავთ, რა იქნება. ამ ბიჭებს სხვა ფსიქიკა აქვთ, ესენი სხვა დროში დაიბადნენ. მე მუდამ მქონდა მოსკოვის სტადიონების კომპლექსი. ასე ვაჟკაცურად კი ჩვენს თაობას ერთიორჯერ თუ უთამაშია მოსკოვში.

— რაც ყველაზე სასიხარულოა, ჩვენ ახლა 16 ქულა გვაქვს. ეს კი იმის საშუალებას მოგვცემს, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ. 24 გუნდში მოხვედრა მატერიალურადაც ძალიან სასარგებლოა და მაღალი დონის თამაშების ხილვის საშუალებასაც მოგვცემს.

— ფეხბურთელთა შენარჩუნების არავითარი გარანტია არ მაქვს. გუშინწინ ედუარდ შევარდნაძე იყო ჩვენთან. გულთან მიიტანა ჩვენი პრობლემები, მაგრამ რა უნდა ვქნათ, ძალიან მძიმე პირობებში ვართ. კიდევ კარგი, რომ ბიჭები მაქსიმუმს აკეთებენ და ამ თამაშებში ნელ-ნელა იზრდებიან, მაგრამ მათ არანაირი სტიმული არა აქვთ. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ფეხბურთელებს საკუთარი თვითმფრინავი ჰყავდეთ მაშინ, როცა ჩვენი ხალხი ასეთ მძიმე დღეშია, მაგრამ ელემენტარული პირობები ხომ მაინც უნდა ჰქონდეთ.

აი, „ტორპედო" ახლა ჯამარაულის აყვანას მოინდომებს. დარწმუნებული ვარ, მას ჩვენზე ათი ათასჯერ მეტს შეჰპირდებიან. როგორ გავაჩერო მე ჯამარაული, როცა რუსები მილიონიან კონტრაქტებს ეთამაშებიან?

— ეს გუნდი არც ყიფიანისაა, არც მერაბ ჟორდანიასი, არც ანდრო ჟორდანიასი და არც ახალკაცის. თუ ეროვნული გუნდია, უნდა მოვთხოვოთ, ვისაც ეს ეხება, რომ მხარში ამოგვიდგნენ.

— როცა იქნება, ვინმე ხომ მოგვიგებს, შეიქმნება იმის საშიშროება, რომ 6-7 ფეხბურთელი დავკარგოთ. მერე ყველაფერი თავიდან დაიწყება. ეს კი, როგორც მწვრთნელს, სულაც არ მეხალისება.

ვახტანგ ბზიკაძე

# ასეარასდროს...

შეხვედრის შემდეგ არაქათგამოცლილ დინამოელთა სახეებზე დიდ სიხარულს ჯერაც არ წაეშალა უკიდურესი ნერვიულობის კვალი.

პირველად კახა კალაძეს გავესაუბრეთ:

— მოსკოვის შეხვედრისგან განსხვავებით ეს მატჩი უფრო მძიმე და სანერვიულო იყო. იქ ჩვენ არ გვიცნობდნენ, ახალ „დინამოზე" წარმოდგენა არ ჰქონდათ, არ ეგონათ, თუ ბრძოლის თავი გვექნებოდა და ქედმაღლურად გვიყურებდნენ. წაგების შემდეგ სერიოზულად გააანალიზეს მარცხის მიზეზები და ხომ ნახეთ, რა ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ მაინც ძლიერმა გაიმარჯვა.

სავარძელში ჩასვენებული დავით ყიფიანი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს თავად მონაწილეობდა ამ უმძიმეს მატჩში — დაღლილობა მოთამაშეებზე ნაკლებად როდი ეტყობოდა. რა გასაკვირი ეს იყო — 90 წუთის მანძილზე ნერვიულობისგან, მგონი, სათადარიგოთა სკამზე არც დამჯდარა. ასეთი ემოციური ყიფიანი მართლაც იშვიათად გვინახავს.

— პირველი მატჩის შემდეგვე ვამბობდი, ძალიან მძიმე ბრძოლა გველის-მეთქი. მართალია, მოსკოველებს ვარსკვლავები არ ჰყავთ, მაგრამ კარგად ორგანიზებული და მომზადებული გუნდია. სმერტინმა სწორად თქვა — ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, თანაც თბილისელებზე უკეთეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიმყოფებით — მაყურებელი ხომ მათგან მხოლოდ მოგებას ითხოვსო. ბიჭები მართლაც მძიმე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იყვნენ, განსაკუთრებით თამაშის დასაწყისში და ჯამარულის გოლის შემდეგ. რამდენი საგოლე გავაფუჭეთ... ვოსტროსაბლინის გოლზე კი მეკარემ სწორი პოზიცია ვერ შეარჩია, მაგრამ მცველებიც შეცდნენ, კედელი გაშალეს. ახლა მომდევნო მეტოქისთვის მოვემზადებით. თამაში ყველასთან შეიძლება და შევეცდებით, ახალ მეტოქესაც ღირსეულად დავხვდეთ. ვნახოთ...

— ჯამარაულის ტრავმა რამდენად სერიოზულია?

— ალბათ ისეთიც არა, რომ ნაკრების თამაში გამოატოვებინოს. ხომ ნახეთ, რას სჩადიოდნენ მოსკოველები. ჩვენი შეცვლები იძულებითი იყო. პირველ ტაიმში კუდინოვი დაგვიშავეს, მეორეში — ჯამარაული. ამ ყველაფრისთვის მზად კი ვიყავით, მაგრამ იძულებითი შეცვლების დროს მაინც ირღვევა ტაქტიკური მონახაზი და სათამაშო დისციპლინა. თუმა, ცხადია, მადლობელი ვარ შეცვლაზე შემოსული ბიჭებისა.

— სათამაშო დისციპლინის დარღვევაში იმას ხომ არ გულისხმობთ, რომ მეორე ტაიმში მოედნის ცენტრი, ფაქტიურად, დავთმეთ?

— რა თქმა უნდა. თანაც ეს ჯამარაულის გასვლამაც გამოიწვია. თუ დააკვირდით, ჯამარაულს მისი მეურვე ბოროდკინი ნაბიჯითაც არ სცილდებოდა. ამან სტუმრებს, ფაქტიურად, ერთი აქტიური კაცი მოაკლო. ჯამარაულის ტრავმის შემდეგ კი ივანოვმა უმალ შეცვალა მცველი და მის ნაცვლად პროკოპენკო გამოიყვანა, ბოროდკინი კი უკან დახია. ჩვენ ასეთი გადაადგილებების საშუალება არ გვქონდა: ჯელაძეს ორი ყვითელი აქვს, ჯამარული და კუდინოვი დაშავდნენ, ყიზილაშვილი ტრავმირებულია.

თბილისელთა ექიმს ზაქრო თელიას ჯამარაულსა და კუდინოვზე დავეკითხეთ.

— ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რა ჭირთ გოჩას და დიმას. ეს მალე მეცოდინება. მეცოდინება ისიც, მათ რეაბილიტაციას რამდენი დღე დასჭირდება.

მამუკა მაჭავარიანი:

— ძალების უკიდურესი დაძაბვით და მაქსიმალური მობილიზაციით შევძელით მოგება. დიდი მადლობა მაყურებლებს, მხურვალედ დაგვიჭირეს მხარი.

ნუგზარ ლობჟანიძე:

— თამაშამდე ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთი დაგვაწვა, სულ იმის ფიქრში და განცდაში ვიყავით, ღმერთმა დაგვიფაროს და, ცუდად არ ვითამაშოთ... ეს დაძაბულობა უფრო პირველ ტაიმში გამოჩნდა, მეორეში კი უფრო გავიხსენით. ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ ჩემს ძმებთან ერთად.

ლევან კობიაშვილი:

— ძალიან მონდომებულნი ვიყავით და საბოლოოდ ამან გადაწყვიტა ყველაფერი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს სულ სხვა „ტორპედო" გვეთამაშა, მაინც მივაღწიეთ მიზანს. მგონი, გავამართლეთ გულშემატკივრების იმედი და ღმერთმა ქნას, შემდეგშიც ასე გვეთამაშოს.

გოჩა ჯამარაულს, რა თქმა უნდა, ჯერ ტრავმაზე ვკითხე...

— რამდენად სერიოზულია, ვერ გეტყვით, ისე კი ძალიან მტკივა. პირველ ტაიმშიც მატკინეს ფეხი და ექიმმა გამიყუჩა, მეორეში კი ზუსტად იმავე ადგილას მომარტყეს. მახმუტოვ[illegible] ფეხზე წამოვიდა და არა[illegible] ალარ შემეძლო, თორემ [illegible] ვაგრძელებდი თამაშს.

— გოჩა, გოლის გატანის ეპიზოდი გავიხსენოთ...

— ალალად გეტყვით, თამაშის წინ ასე არასდროს მინერვიულია. აქ რომ წაგვეგო, ვიცით, რასაც იტყოდნენ — მოსკოვში შემთხვევით მოიგესო. გოლი ასე იყო: ბაჯბაჯამ (როინ კერძევაძე) ჯერ გადაცემა ჩაჭრა და მერე პასი ფეხზე დამასვა, მეც ეგრევე დავარტყი. მეკარეს კი ვხედავდი, მაგრამ იმას ვერა, წინ იყო გამოსული თუ არა. მაინც დავარტყი...

დიმა კუდინოვი:

— რა თქმა უნდა, სჯობდა მოგვეგო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შემდეგ წრეში გავედით. ფეხი ოდნავ მაწუხებს. მაგრად უხეშობდნენ. მალე გავიგებ, რა მჭირს სინამდვილეში.

ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ გიორგი დემეტრაძეს გოლი რომ გაეტანა, „დინამოს" მომდევნო წრეში გასვლა-არგასვლის საკითხი მეორე ტაიმის შუაშივე გაირკვეოდა.

— გიორგი, რატომ უმალვე არ დაარტყი?

— საერთოდ, კართან მარტოდ მყოფს არ მახასიათებს დარტყმის დაყოვნება, მაგრამ ხომ იცით ფეხბურთელის ფსიქოლოგია? მინდოდა, ლამაზი გოლი გამეტანა, ისეთი, ხალხს რომ მოეწონებოდა, მაგრამ არ გამომივიდა. რა თქმა უნდა, უცებ დარტყმა სჯობდა.

ირაკლი ზოიძემ გაშვებული გოლი გაიხსენა:

— ბურთს ვერ ვხედავდი, კედელს რომ გამოსცდა, მერელა დავინახე, რეაგირება კი გამიჭირდა, თამაში ძალიან ძნელი გამოდგა, მოსკოვში გამარჯვება ბევრს არ ნიშნავდა. რუსებს ყოველთვის მებრძოლი ხასიათი ჰქონდათ, სტუმრად თამაშიც ეხერხებათ. მაგრამ ხომ ხედავთ მაინც მოვიგეთ.

ასე ძვირფასი და საჭირო გოლი როინ კერძევაძის გადაცემას მოჰყვა:

— ვიცოდი, თბილისში სულ სხვა „ტორპედოს" ვიხილავდით და ასეც მოხდა. მოსკოველებმა თავი არ დაზოგეს, ჩვენც, ნახეთ, არაფერი დავუთმეთ, არც ბრძოლაში, არც ქინში და საბოლოოდ ამან გაგვამარჯვებინა.

მერაბ მამულაშვილი

# პჩელნიკოვმა «დინამო» დაგვიწუნა

„ტორპედოში" წესად ჰქონიათ, ჟურნალისტებს მხოლოდ მაშინ უშვებენ გასახდელში, როცა ფეხბურთელი წყალს გადაივლებს, ჩაიცვამს და კუთვნილ სკამს დაიკავებს. ივანოვი ამის მერელა აღებს კარს და იძახის: „აბა, ჟურნალისტებო, ხუთი წუთი გაქვთ, ფეხბურთელებს რომ დაელაპარაკოთ. აირჩიეთ, ვინც გინდათ, ისინი თქვენს განკარგულებაში არიან." ფეხბურთელებიც მოვალენი არიან, მედიას ცხვირი არ აუბზუონ. ყველაზე მეტად მეკარე პჩელნიკოვთან და ნახევარმცველ ევგენი სმერტინთან გამოლაპარაკება მინდოდა. ივანოვის მიერ მოზომილ დროშიც გაჭირვებით ჩავეტიე. ჩვენს ფეხბურთელებს რა ვუთხარი, 5:1-ის მაგიერ 1:1 რომ დაამთავრეს, მეკარე ვლადიმირ პჩელნიკოვიც ალბათ ამიტომ იყო დიდ გულზე...

— გქონდათ შანსი, ჯამარაულის დარტყმა აგეღოთ?

— არავითარი! ჯამარაულს ძალზე იღბლიანი დარტყმა გამოუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ დროულად გადავხტი, ბურთს ვერაფრით მივწვდი.

— კარიდან როგორი ჩანდა თამაში?

— პირველ ტაიმში ბურთი კარგად გვეჭირა, მაგრამ მერე, ბოლოსკენ დავიღალეთ და შეცდომებს ვუხშირეთ, საკუთარ კარს თავად „ვუქმნიდით" საგოლე მომენტებს...

— „დინამომ" შესვენებამდე საგოლე მომენტი ვერ შექმნა, მეორე ტაიმში კი ბევრჯერ გადარჩით...

— ვფიქრობ, ყველაფერი ჩვენების უყურადღებობის ბრალია. და კიდევ — ჩვენ დღეს ფიზიკურად ცუდად გამოვიყურებოდით.

— „დინამომ" ღირსეულად გაჯობათ?

— არა! ჩვენ შეგვეძლო და უნდა გავსულიყავით შემდეგ ეტაპზე. „დინამო" ჩვენი საბილო უნდა გამხდარიყო, მაგრამ მეთექვსმეტედფინალისტის ბედი ჩემმა მოსკოვურმა შეცდომამ გადაწყვიტა...

— ის გოლი, ეტყობა, არ და არ გასვენებთ...

— მუდამ ვცდილობ შეცდომების დავიწყებას, სხვანაირად ვერც ითამაშებ, მაგრამ ის გოლი... არა, სულ თვალწინ მიდგას...

— რა აკლდა „ტორპედოს" შემდეგ წრეში გასასვლელად?

ნალისტებს მხოლოდ მაშინ უშვებენ გასა-

ნაც, ძალიან ხშირად ვცდებოდით გადაცემებისას.

— როცა მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრეთ, გჯეროდათ, რომ გადამწყვეტ გოლს გაიტანდით?

— თბილისელები მთელი გუნდით ჩადგნენ საკუთარ ნახევარზე და თავიანთი საჯარიმოდან ცხვირსაც არ ჰყოფდნენ. ასეთი რედუტის გადალახვა კი ძალზე ძნელია. ჩვენ ხომ ერთხელაც არ დაგვირტყამს ამ 7 წუთის განმავლობაში. მითუმეტეს, რომ ბიჭებს ძალა გამოელიათ.

ევგენი სმერტინი, „ტორპედოს" ნახევარმცველი

— „ტორპედომ" თბილისში უკეთ ითამაშა. რით ახსნით ამას?

— თბილისში ჩამოსვლისას გითხარით, რომ ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო და აკი ვაჯობეთ კიდეც თბილისელებს, მაგრამ თავად ვართ დამნაშავენი, რომ წავაგეთ.

— დღევანდელი თამაშის შედეგი კანონზომიერია?

— უდაოდ.

— ბოლოს რამდენიმე აშკარა გოლს გადარჩით, დაიღალეთ თუ სხვა რამ იყო მიზეზი?

— უბრალოდ, დასაკარგი არაფერი გვქონდა, ჰოდა, შევუტიეთ, თქვენებმა კი გამოგვიჭირეს. რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, 1:1 იქნებოდა, 1:2 თუ 1:3.

— თბილისური და მოსკოვური მატჩები შეადარეთ...

— „დინამომ" იქაც კარგად ითამაშა და აქაც, ჩვენ კი მოსკოვში ცუდად, თბილისში კი კარგად ვითამაშეთ, „დინამოზე" უფრო კარგად.

— ჯამარაულის გოლზე რას გვეტყვით?

— მაგან აქაც გაგვამწარა და იქაც. იქ მეკარე შეცდა, ამ გოლზე კი რა უნდა ვთქვა, ძალიან კარგი გოლი იყო, ძალიან კარგი.

— ივანოვის სამმა შეცვლამ თუ იმოქმედა თამაშზე?

— ვფიქრობ, არა.

— ჩვენი გუნდიდან ვინ მოგეწონათ?

— ჯამარაული, საერთოდ კი, თქვენები ფიზიკურად კარგად არიან მზად და გუნდიც კარგადაა დაკომპლექტებული.

მებისამბაშ, ღირსეულად გაჯობეთ?

— რა თქმა უნდა.

ვლადიმერ ალიოშინი. „ლუჟნიკის" გენერალური დირექტორი.

— თამაში თუ მოგეწონათ?

— როგორც მაყურებელს — კი. გუნდებმა კარგი ფეხბურთი გვანახეს და გულშემატკივარმაც ისიამოვნა. როგორც „ტორპედოს" ხელმძღვანელს კი გული დამწყდა, მაგრამ რას იზამ, უძლიერესმა გაიმარჯვა. დღეს „დინამო" „ტორპედოზე" აშკარად ძლიერია და გზა მან უნდა განაგრძოს. ჩვენებს სისწრაფე არ ეყო, თანაც მატჩის დასაწყისში ვერ გამოიყენეს ნაღდი საგოლე მომენტი, რომელსაც თამაშის მსვლელობის შეცვლა შეეძლო.

— თბილისში ჩამოსვლისას მითხარით, „დინამოს" ხარჯზე უნდა გავძლიერდეთო. რომელ ფეხბურთელს დაადგით თვალი?

— მე კი ბევრი თქვენიანი მინდა, მაგრამ მთავარი ისაა, ვის ისურვებს ივანოვი საკუთარი კონცეფციის განსახორციელებლად. მე კი საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ. ვფიქრობ, თქვენი გუნდის ხელმძღვანელობა გაგვიგებს და დაგვეხმარება. რა იცით, რაში და როდის გამოგადგებით მომავალში. მერაბ ჟორდანიასთან ბრწყინვალე ურთიერთობა დავამყარე, ჭკვიანი კაცია, ჩინებულად ესმის ფეხბურთი და ღირს მასთან საქმის დაჭერა. მე კარგად ვიცი საქმიანი კაცის ფასი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მის წესიერებაში არ მეპარება ეჭვი და „დინამოსთან" საქმეს ამიტომაც დავიჭერ. რაღაც-რაღაცეების გაკეთება მოსკოვში მეც მეხერხება.

მატჩის მთავარ არბიტრს ჰელმუტ კრუგს „პროფესიონალ გულშემატკივართა" წრეში ცნობილი კაცის ზაზა ბოკერიას დახმარებით ვესაუბრე.

— ბატონო ჰელმუტ, მახმუტოვმა რომ ჯამარაული დააზავა და ყვითელი ბარათი უჩვენეთ, ნუთუ იგი წითელს უფრო არ იმსახურებდა?

— ამ კითხვას უკომენტაროდ დავტოვებ. რასაც იმსახურებდა, ის ვუჩვენე...

— თამაში თუ მოგეწონათ...

— სადღა ახლანდელ ფეხბურთში მოსაწონი თამაშები... კარგი თამაში კი იყო, მაგრამ გადასარევიო, ვერ ვიტყვი. აგერ, ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა, რომელი თამაში იყო ერთი ისეთი, მაყურებელი რომ გადარია.

— არც ჯამარაულის გოლი მოგეწონათ?

— გოლი მშვენიერი იყო.

მამუკა კვარაცხელია

# თასი ახალ მფლობელს ელის

უეფას თასი ახალ მფლობელს ელის, ძველი გავარდა. მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე „ბაიერნი“ ვალენსიაში წაგებული 0:3-ის შემობრუნებას ეცადა. გერმანელებმა მეორე წუთზევე გახსნეს ანგარიში — მარიო ბასლერის ჩაწოდებით კრისტიან ციგეს მიერ შეშინებულმა იავი ნავარომ საკუთარ კარში თაური შეაგდო, მაგრამ მასპინძლებმა დანარჩენ 88 წუთში მეტი ველარ გაიტანეს და გათამაშებას გამოეთიშნენ. შანსი კი მართლაც ჰქონდათ. მე-15 წუთზე ესპანელთა კარში პენალტი დაინიშნა. ვინძლო, აქ რომ 2:0 გამხდარიყო, „ბაიერნი“ სასწაულს ჩაიდენდა, მაგრამ იურგენ კლინსმანმა შანსი ვერ გამოიყენა — მისი დარტყმა ანდონი სუბისარეტამ მოიგერია.

— თუ პენალტიც ვერ გაგვაქვს, მაშ მოგებას როგორ უნდა ველოდოთ? — იკითხა რიტორიკულად ბავარიელთა პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა.

— ადრევე შეგვეძლო ორი ბურთით დავწინაურებულიყავით, მაგრამ ვერ შევძელით. აქ კლინსმანის მიერ ვერგატანილ თერთმეტმეტრიანს არ ვგულისხმობ, სხვა საუცხოო შესაძლებლობები გვქონდა. მეორე ტაიმში ძალ-ღონე არ დავიშურეთ, მეტოქეზე დიდი ზეწოლა მოვახდინეთ, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ „ვალენსიასთან“ დუელი აქ კი არა, იქ, ვალენსიაში წავაგეთ — თქვა მატჩის შემდეგ ლოთარ მათეუსმა.

„ბაიერნის“ მონდომებასა და უპირატესობას კუთხურების რაოდენობაც ადასტურებს. მასპინძლებმა ათი კუთხური ჩააწოდეს, სტუმრებმა არცერთი, მაგრამ კუთხური საქმეს არ შველის.

შეჯიბრების მიღმა დარჩა თასის ბაიერნისწინა, 1995 წლის მფლობელი „პარმაც“. იტალიელებს პირველ მატჩში პორტუგალიურ „გიმარაეშთან“ 2:1 ჰქონდათ მოგებული, მაგრამ მეორეში 0:2 იწვნიეს. „გიმარაეშის“ გოლები მე-15 და 49-ე წუთებზე გავიდა. მათი ავტორები ვიტორ პანეირა და რიკარდო ლოპესი არიან. პარმელთათვის ყველაზე მოულოდნელი მასპინძელთა ძლიერი კონტრშეტევები გამოდგა. პანეირას გოლამდე პორტუგალიელებს ერთი ჩინებული შესაძლებლობაც ჰქონდათ, როცა ბრაზილიელ ჟილმარ ესტევამს მეკარე ბუფონმა ფეხით აუღო. იტალიელთაგან სხვებზე უკეთ დინო ბაჯო მოქმედებდა, მაგრამ 63-ზე მის მიერ შეგდებული თაური არბიტრმა არ ჩათვალა, რადგან მიიჩნია, რომ მანამდე ბაჯომ მასპინძელ მცველთან ბრძოლის წესი დაარღვია. არჩათვლილი გოლი შეაგდო ლოპესმაც. იმ ეპიზოდში, მეორე ნახევრის პირველ წუთებზე, იგი ოფსაიდში აღმოჩნდა, თუმცა მალე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე, გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

მსაჯი ვახსენეთ, გოლი არ ჩათვალაო. მსაჯთაგან ოცდამეთორმეტედფინალში თავი ბელორუსმა ვადიმ ჟუკმა გამოიჩინა. ყოფილი საბჭოელი ჰამბურგის „ფოლსპარკშტადიონზე“ „ჰამბურგისა“ და „სელტიკის“ შეხვედრას უძღვებოდა. მატჩი, რომელიც გერმანელთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა, იმით იყო საინტერესო, რომ წითელი ბარათი სამმა ფეხბურთელმა იხილა, წაგებულთ კი ორივე გოლზე პრეტენზია ჰქონდათ, ოფსაიდი იყოო. გაძევებული სამეულიდან ორი — მალკი მაკკი და ჯონ ჰიუზი, შოტლანდიელი იყო, მარკუს შუპი კი, შესაბამისად, გერმანელი. გარდა ამისა მე-13 წუთზე შტეფან ჰენჰოცის მონდომებით „სელტიკის“ პორტუგალიელი თავდამსხმელი ჟორჟე კადეტე ისე დაშავდა, რომ მოედნის დატოვება მოუხდა.

შესვენებაზე, გასახდელისკენ მიმავალ გზაზე, გლაზგოელთა მწვრთნელმა ტომი ბარნსმა ჟუკს კამათი შეჰბედა, მოედანზე კი ხშირად საკმაოდ უშნო ჭიდაობის სცენები იმართებოდა.

ამგვარად, 24-ე წუთზე, კარსტენ ბარონისა და 50-ზე ანდრე ბრაიტენრაიტერის გოლებით „ჰამბურგმა“ გზა განაგრძო.

გზა განაგრძო „ჰამბურგის“ თანამემამულე „შალკე 04“-მაც, რომელმაც ჰოლანდიაში „როდასთან“ 2:2 დაასრულა და შინ მოგებული 3:0 „არ შერყვნა“. ჰოლანდიის გუნდს საქმე კარგად რომ არ წაუვიდოდა, მე-15 წუთზევე გაირკვა, როცა დავიდ ვაგნერმა მასპინძელთა დაუცველ კარში შეაგდო. „როდას“ მცველის რიჩარდ რულიფსენის უკუთაური მარტინ მაქსმა ჩაჭრა და ასე მიუვიდა ბურთი პირველი გოლის ავტორს. 10 წუთში ედვინ ფურენსმა ანგარიში გაქვითა, მაგრამ „შალკეს“ ბელგიელმა თავდამსხმელმა მარკ ვილმოტსმა 72-ზე ჰოლანდიელთა არარსებული იმედიც დაასამარა. 74-ზე გერალდ სიბონმა გაათანაბრა.

პრაღაში, პირველ 30 წუთში, მარტინ პენიჩკას და რობერტ ვაგნერის შეღეგიანმა თაურებმა შვედური „მალმიოს“ ნგრევაში დიდი როლი ითამაშა. თამაში 3:1 დამთავრდა, რამაც ორი შეხვედრის ჯამში 5:2 შეადგინა. 56-ე წუთზე იენს ფიელსტრომმა მასპინძლებს ერთი კი გაუტანა, მაგრამ 69-ზე ტომი იონსონმა ირჟი ვავრა წააქცია საჯარიმოში და პენალტი პაველ ჰორვატმა ზუსტად დაარტყა.

შვედეთის სხვა გუნდმა „ჰელსინგბორგმა“, რომლის ნახევრადპროფესიონალი მოთამშეები კვირაში მხოლოდ 300 გირვანქას იღებენ, მილიონერ „ასტონ ვილას“ უმასპინძლა. „ვილას“ ფეხბურთელებს 20-ჯერ მეტი ანაზღაურება აქვთ, მაგრამ ვერც შინ და ვერც სტუმრად შვედებს ვერ მოუგეს. ინგლისში 1:1 დამთავრდა, შვედეთში 0:0.

— ჩვენ დღეს საშუალო გუნდად წარმოვჩნდით. დაცვიდან თავდასხმამდე კარგად არავის უთამაშია. მეტოქეს კი მეტი ენთუზიაზმი და ჟინი ჰქონდა — ეს „ნიუკასლის“ მწვრთნელის, კევინ კიგანის სიტყვებია.

ეს ინგლისური გუნდიც შვედურს, „ჰალმშტადს“ ეპაექრებოდა. კიგანის ბიჭები, თავისი 15 მილიონიანი ალან შირერით, 1:2 დამარცხდნენ, მაგრამ ჯამში 5:2 გაიმარჯვეს.

პორტუგალიაში, „ბოავიშტამ“ დანიური „ოდენსეს“ სამასპინძლოდ „ბენფიკას“ 120 ათასიანი სტადიონი ითხოვა, სულ 300 ქომაგი კი მიუვიდა. სტადიონი იმიტომ ითხოვა, რომ თავისი, „ოპორტუდ“ წოდებული უეფას მიერ დისკვალიფიცირებულია. მეორე ტაიმში იასპერ ჰიორთის და ულრიკ პედერსენის გოლებით სტუმრებმა 2:1 მოიგეს, მაგრამ ჯამში 4:4 გამოვიდა და მეტოქის მოედანზე მეტი გატანილის წყალობით შემდეგ ეტაპზე პორტუგალიური გუნდი გავიდა.

რუსებს „სპარტაკი“ დაურჩათ, სხვა ყველა გავარდა. „დინამო“, რომელიც „რომას“ მასპინძლობდა, პენალტით 1:0-ს იგებდა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე დანიელ ფონსეკამ გაქვითა, მეორეში კი ტომაზის და ბერეტას გოლებით იტალიის დედაქალაქის გუნდმა იმძლავრა.

და ბოლოს, ზუსტად თბილისის „დინამოს“ მსგავსად ეს წრე ორმა გუნდმა გაიარა — „ფეიენოორდმა“ და „ლაციომ“ პირველი თამაში სტუმრად მოიგეს 1:0, მეორე კი შინ 1:1 ითამაშეს.

**პაპუნა კეღია**

## უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი
24-25 სექტემბერი

UEFA CUP

დინამო (თბილისი, საქართველო) — ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) 1:1 (1:0)
არაუ (შვეიცარია) — ბრონდბიუ (დანია) 0:2 (0:5)
ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) 1:1 (1:0)
ესპანიოლი (ბარსელონა, ესპანეთი) — აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) 1:0 (2:2)
ინტერი (მილანი, იტალია) — გინგამი (საფრანგეთი) 1:1 (3:0)
ბოავიშტა (პორტუგალია) — ოდენსე (დანია) 1:2 (3:2)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ფერენცვაროში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 2:2 (1:3)
ჰალმშტადი (შვედეთი) — ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) 2:1 (0:4)
ბერი თაუნი (უელსი) — აბერდინი (შოტლანდია) 3:3 (1:3)
დინამო (მოსკოვი, რუსეთი) — რომა (იტალია) 1:3 (0:3)
ჰამბურგი (გერმანია) — სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) 2:0 (2:0)
მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) — ტენერიფე (ესპანეთი) 1:1 (2:3)
ნაციონალი (ბუქარესტი, რუმინეთი) — ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) 2:0 (0:0)
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — ბოდო გლიმტი (ნორვეგია) 3:1 (2:1)
ლუნგბიუ (დანია) — ბრიუგე (ბელგია) 0:2 (1:1)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ასტონ ვილა (ბირმინგემი, ინგლისი) 0:0 (1:1)
ლაციო (რომა, იტალია) — ლანსი (საფრანგეთი) 1:1 (1:0)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — მალმიო (შვედეთი) 3:1 (2:1)
კაზინო გ.ა.კ (გრაცი, ავსტრია) — ჟერმინალი (ეკერენი, ბელგია) 2:0 (1:3)
სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) — მონპელიე (საფრანგეთი) 1:0 (1:1)
ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი) 1:0 (0:3)
ქსამაქსი (შვეიცარია) — დინამო (კიევი, უკრაინა) 2:1 (0:0)
ბეშიქთაში (სტამბოლი, თურქეთი) — მოლენბეკი (ბელგია) 3:0 (0:0)
ვიტორია (გიმარაეში, პორტუგალია) — პარმა (იტალია) 2:0 (1:2)
ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) — ალანია (ვლადიკავკაზი, რუსეთი) 4:0 (1:2)
როდა (კერკრადე, ჰოლანდია) — შალკე 04 (გელზენკირხენი, გერმანია) 2:2 (0:3)
მეცი (საფრანგეთი) — ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) 1:0 (0:0)
მონაკო (საფრანგეთი) — ჰუტნიკი (კრაკოვი, პოლონეთი) 3:1 (1:0)
სილკებორგი (დანია) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 1:2 (2:3)
კარლსრუე (გერმანია) — რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) 4:1 (0:1)
ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 2:0 (2:4)
ბორუსია (მიონხენგლადბახი, გერმანია) — არსენალი (ლონდონი, ინგლისი) 3:2 (3:2)

## შოთას მენისკი არ ჰქონია

გაუწყეთ უკვე: ეროვნული ნაკრების ტრაბზონსფორელ ფორვარდს შოთა არველაძეს 19 სექტემბერს მენისკის ოპერაცია უნდა გაუკეთებოდა. ახლა ის შევიტყვეთ, რომ თურქ დასტაქრებს ოპერაცია ერთი დღით გადაუვადებიათ, მიზეზი კი, ჩვენდა გასახარად, ეს ყოფილა: შოთა თურმე მენისკს კი არა, მარჯვენა მუხლში რაღაც წამონაზარდს შეუწუხებია. ნაკრების ხელმძღვანელთაგან გავიგეთ, 20 სექტემბერს შოთას ეს წამონაზარდი ჩამოფხიკეს, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და იგი უკვე ვარჯიშსაც შეუდგაო. ცხადია, ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად და მსუბუქად. აღდგენითი პროცესიც თურმე გაურთულებლად მიდის. დანარჩენი იღბალსა და თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული, თუმცა როგორი საქმეა ეს „დანარჩენი“ და უპირველესად რას ვგულისხმობთ მასში, ყველამ ვიცით: შოთას თამაშს პერუჯაში იტალიელების წინააღმდეგ.

## რევიშვილს შანსი მიეცა

ვლადიკავკაზის „ალანიის“ მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი და იქ მოთამაშე ეროვნული გუნდის წევრი ზაზა რევიშვილი რომ ერთმანეთს დაეუბრნენ, ეს უკვე იცით. ისიც იცით, რომ გაზაევმა ზაზას საქმის გადაწყვეტა მარტომ ვერ იკისრა და საბოლოო ვერდიქტის გამოტანა გუნდის საერთო კრებას მიანდო. ეტყობა, ჩვენებური „ალანიაში“ დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაც თავად გაზაევის მიერ „სპორტ-ექსპრესისთვის“ ნათქვამიდანაც ჩანს:

„— რევიშვილი, როგორც შევიტყვე, ვლადიკავკაზში დაბრუნდა, არადა, სულ ახლახან თქვენგან გუნდიდან იყო გარიცხული?

— რევიშვილის თაობაზე გუნდის კრება ჩატარდა. მე ჩემს აზრზე დავრჩი, მაგრამ ბიჭებმა მთხოვეს, ზაზასთვის შანსი მიმეცა. დავთანხმდი და მას ახლა სეზონის ბოლომდე აქვს დრო იმის დასამტკიცებლად, რომ იგი „ალანიას“ სჭირდება“.

ჩანს, საქმე მთლად ისე არ არის, გაზაევს რომ სურს. რევიშვილს, ჩვენი რომ არის, იმიტომ კი არ ვაქებთ. ფაქტია: მისნაირი მარჯვენაფლანგელი ვლადიკავკაზელებს ნამდვილად არ მოეძებნებათ. სხვა შემთხვევაში საქმეც სხვაგვარად იქნებოდა. ჩვენი მხრივ, ერთსაც დავძენდით — არა გვგონია, ზაზამ დასამტკიცებელი ვერ დაამტკიცოს.

## ჩემპიონთა ლიგა
25 სექტემბერი

CHAMPIONS LEAGUE

II ტური

A ჯგუფი

**რეინჯერსი 1:2 ოსერი**

**აიაქსი 0:1 გრასჰოპერი**

აიაქსი: ვან დერ სარი, ბლინდი, სანტუში, ბოგარდი, ხუანი (მელხიოტი 68), ფ. დე ბური, ლიტმანენი (ვუტერი 46), მუსამპა, ბაბანგიდა (სხოლტენი 75), რ. დე ბური, ოვერმარსი

გრასჰოპერი: ხუბერბულერი, გამპერლე, ჰაასი, გრენი, ტუელერი, ლომბარდო (კოლერი 89), ესპოზიტო, იაკინი, ფოგელი, მანინი (კომიზეტი 78), მოლდოვანი (სმილიანიჩი 90)

0:1 იაკინი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ოსერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| რეინჯერსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

B ჯგუფი

**სტიაუა 0:3 დორტმუნდი**

0:1 რიკენი (7), 0:2 ჰაინრიხი (37), 0:3 შაპუიზა (77)

**ვიძევი 1:4 ატლეტიკო**

ვიძევი: შჩესნი, შიმკოვიაკი (ზაიაცი 77), ვოიტალა, ციტკო, მიხალსკი, დემბინსკი, მაიაკი, შარპაკი (ვიჩიშკევიჩი 12, მიაშკიევიჩი 62), მაიორი, ბოგუში, მიხალჩუკი

ატლეტიკო: მოლინა, ტონი, სოლოსაბალი, სანტი, ქანაიდერი, პანტიჩი, სიმეონე (ალფარო 78), აგილერა (ლოპესი 75), კიკო, ბეიბლი, ხელი

0:1 პანტიჩი (25), 0:2 სიმეონე (32), 1:2 ციტკო (45), 1:3 სიმეონე (58), 1:4 კიკო (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ვიძევი | 1 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| სტიაუა | 1 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

C ჯგუფი

**მანჩესტერი 2:0 რაპიდი**

1:0 სოლსკიაერი (20), 2:0 ბექემი (27)

**ფენერბაჰჩე 0:1 იუვენტუსი**

ფენერბაჰჩე: რუშტუ, ილკერი, უჩე, ჰოგი, ჯემალეთინი, იბრაჰიმი, თუნჯაი (ეროლი 82), ბოლიჩი, ოკოჩა, ბიულენთი, ტარიკი (ბენშური 88)

იუვენტუსი: რამპულა, ფერარა, პესოტო, მონტერო, პორინი, ზიდანი (დი ლივიო 71), კონტე, დეშამპი, ვიერი (პადოვანო 58), დელ პიერო (ტაკინარდი 83), ბოკშიჩი

0:1 ბოკშიჩი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6. |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| რაპიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

D ჯგუფი

**პორტუ 2:1 გიოტებორგი**

1:0 არტური (27), 2:0 არტური (51), 2:1

**რუსენბორგი 1:4 მილანი**

რუსენბორგი: იამტფალი, ლოკენი, ჰოფტუნი, ბრაგსტადი (სტაურვიკი 34), სტენსაასი, სტრანდი (ჰეგემი 81), სკომელსრუდი, სოლტვედტი, იაკობსენი (კვარმე 76), ბრატბაკი, ივერსენი

მილანი: როსი, პანუჩი, კოსტაკურტა, დესაი, მალდინი, დავიდსი, სავიჩევიჩი, ალბერტინი, ამბროზინი, ბობანი (ერანიო 41), ვეა, სიმონე (ბაჯო 73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| გიოტებორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

## ინგლისი

# უიმბლდონი აბობოქრდა

VII ტურის მატჩი

**უიმბლდონი 3:1 საუთჰემპტონი**

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ, ჰოლდსუორსი (ბლექველი 82), გეილი (კლარკი 82), პერი, მაკალისტერი

საუთჰემპტონი: ბიზანტი, მეჯილტონი (ოკლი 61), მონკუ, ლე ტისიე, უოტსონი (მედისონი 53), შიპერლი (პოტერი 67), ჩარლტონი, ნილსენი, დრაიდენი, სლეიტერი, ლუნდეკვამი

გოლი: გეილი (12), ეკოკუ (38, 73), ოკლი (77)

გაფრთხილება: ეკოკუ, კიმბლი, გეილი, დრაიდენი, მონკუ

„საუთჰემპტონის“ მწვრთნელმა გრემ სუნესმა მეორე ტაიმში ორივე თავდამსხმელი შეცვალა, თამაშის შემდეგ კი დასძინა, რომ ჯერ კიდევ აქვს პორტუგალიელი პაულუ ალვეშის შეძენის იმედი, რომელთანაც ჩიხში მოქცეული ვაჭრობის განახლებას აპირებს. საუბარია 1,5 მილიონ დოლარზე. გორდონ უოტსონის და ნილ შიპერლის შეცვლა კი, ბუნებრივია, მათმა უსუსურობამ გამოიწვია.

„საუთჰემპტონმა“ საკუთარ ტყავზე გამოსცადა, რომ „უიმბლდონის“ შეჩერება ახლა შეუძლებელია. ლონდონელთათვის ეს გამარჯვება ზედიზედ მეხუთე იყო. არადა პირველი სამი ტურის შემდეგ საბრალონი იყვნენ — ქულაც არ ჰქონდათ. გოლმოშიებულმა მასპინძლებმა მე-12 წუთზე გახსნეს ანგარიში. აქ თავისი წვლილი სტუმართა მცველმა რობი სლეიტერმაც შეიტანა. მან მარჯვენა ფრთიდან ჩაკიდებულ ბურთს თავი უხეიროდ შეუშვირა და ნაცვლად საჯარიმოდან გაგდებისა, საკუთარი მეკარის ბაქანთან აწია, სადაც გოლკიპერს გამოსვლაში ეფან ეკოკუმ შეუშალა ხელი. ბურთი გეილს ჩაუვარდა, რომლის დარტყმა შედეგიანი იყო. 38-ე წუთზე სხვაობა ორამდე გაიზარდა. შეცდომა მეკარემ დაუშვა, რადგან დინ ჰოლდსუორსის პასით ეკოკუს დარტყმული სხეულქვეშ გაუძვრა. მეორე ტაიმში, 73-ე წუთზე 3:0 გახდა. მიზნის მიღწევა ისევ ეკოკუმ იზეიმა. საუთჰემპტონელებმა ამ შემთხვევაშიც შეცდომა დაუშვეს — მეტიუ ლე ტისიემ უპასუხისმგებლოდ მეტოქის თავდამსხმელს მიაწოდა, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. ერთადერთი გოლი, ძველად რომ იტყოდნენ პრესტიჟისაო, სტუმრებმა 77-ზე შეაგდეს. მეტიუ ოკლიმ ეს თაურით შეძლო.

მასპინძელთა შემადგენლობაში ისევ თამაშობდა ზემოხსენებული დინ ჰოლდსუორსი, მეორე გოლის ასისტენტი. იგი თითქოს მწვრთნელთან, ჯო კინიართან უბრად იყო და ხელსაყრელ ტრანსფერსაც ეძებდა, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერი მოგვარდა.

# აჰა რჩება

## კოკა კოლას თასი

მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები

**მანჩესტერ სიტი 0:1 ლინკოლნი**

მანჩესტერ სიტი: დიბლი, მაკგოლდრიკი (ბრაუნი 10), ფრონცეკი (ფილიპსი 46), ლომასი, საიმონსი, უახალი, სამერბი, კლაფი, დიკოვი (ყაველაშვილი 57), ქინქლაძე, როსლერი

„სიტის“ უარყოფაში ინგლისელ მწვრთნელებს ბედმაც აუბა მხარი. „ლინკოლნი“ რომ „ლინკოლნია“, მანჩესტერელებს მასთანაც არ მოაგებინა. ალბათ იფიქრა, ამ ქვედაზე ქვედა ლიგელთან რა ჩემი დახმარება სჭირდებათ. თუმცა, ბედზე გაწყრომის უფლება „სიტის“ არა აქვს, რადგან ჩემპიონატში მოგებულ 4 შეხვედრაში მან, ფორტუნამ, კაი გვარიანი როლი ითამაშა.

„მეინ როუდზე“ კი მაყურებლის რაოდენობამ იკლო. შეხვედრის სანახავად სულ 14 242 ქომაგი მივიდა და ამბობენ, მათი შეძახილები სტუმართა გულშემატკიერებისას ვერც ფარავდაო.

რამდენიმე დღის წინ „არსენალიდან“ „სიტიში“ გადასულმა ედი მაკგოლდრიკმა მე-10 წუთზევე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. გავიდა ამ ტრავმიდან შვიდი წუთი და მაიკლ ფრონცეკმა მეტოქის გარეთ აინსუორსს ისეთ პოზიციაში „აჩუქა“ ბურთი, რომ აინსუორსი ელვის სისწრაფით გაიჭრა და ჩააწოდა. კიტ საიმონსმა თავქუდმოგლეჯით სცადა მდგომარეობის განმუხტვა, მაგრამ ბურთი ჯო მარტინს გაარტყა და იგი კვლავ სახიფათო ზონაში შეგორდა, საიდანაც ბოსმა ახლოდან გაიტანა.

მანჩესტერელებმა საქმის გამოსწორება სცადეს, ქინქლაძემ ნიკი სამერბის და უვე როსლერს საგოლე მომენტები შეუქმნა კიდეც, მაგრამ მათ შედეგი არ მოჰყოლია. მოკლედ, სამბურთიანი სხვაობის გამოსწორებას ვინ ჩივის, შინაც წააგეს.

ახლა, ცხელ-ცხელი მანჩესტერული ჭორები: საფეხბურთო დირექტორის თანამდებობაზე კენი დალგლიში მოდის, მწვრთნელად კი ამ ფუნქციის ახლანდელ შემსრულებელს აზა ჰართფორდს სტოვებსო.

კაცმა არ იცის ეს ხმა რის საფუძველზე გავრცელდა. როგორც სკეპტიკოსები თუ საღად მოაზროვნენი ამბობენ, უბრალოდ, გაზეთებმა ორს ორი დაამატეს და შვიდი მიიღესო.

მეორე ხმა ასეთია: ფრენსის ლის მწვრთნელად ბრუს რიოქი უნდაო. შეგახსენებთ, ბრუს რიოქი ის კაცია, ბოლო წლებში „არსენალს“ რომ წვრთნიდა და სეზონის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე რომ გაანთავისუფლეს.

ლიმ კვირის გაზეთების ეს ჭორი შეიცხადა: ამას თუ თავად ბრუსი ამბობს, ან უცნაური ფანტაზია ჰქონია, ან ჟურნალისტებმა რაღაც ზუსტად ვერ გადმოსცეს. რიოქის კანდიდატურა ფიქრადაც არ მქონიაო.

**დანარჩენი მატჩები:** ბირმინგემი — ქოვენთრი 0:1 (ჯამში 1:2), ბლექბერნი — ბრენტფორდი 2:0 (4:1), ბოლტონი — ბრისტოლ სიტი 3:1 (3:1), ბარნლი — ჩარლტონი 1:2 (2:6), კარლისლი — პორტ ვეილი 2:2 (2:3), კოლჩესტერი — ჰადერსფილდი 0:2 (1:3), კრისტალ პალასი — ბარი 4:0 (7:1), დარლინგტონი — ლიდსი 0:2 (2:4), გილინგემი — ბარნსლი 1:0 (2:1), ჰერეფორდი — მიდლსბრო 0:3 (0:10), იფსვიჩი — ფულემი 4:2 (5:3), ნორსემპტონი — სტოკ სიტი 1:2 (1:3), ოქსფორდ იუნაიტედი — შეფილდ უენსდეი 1:0 (2:1), შეფილდ იუნაიტედი — სტოკპორტი 2:5 (3:7), სანდერლენდი — უოტფორდი 1:0 (3:0), ტრანმერი — ოლდემი 0:1 (2:3), უიკომბი — ნოტინგემ ფორესტი 1:1 (1:2), იორკი — ევერტონი 3:2 (4:3)

## საქართველოს ჩემპიონატი

### II ჯგუფი

მორიგეებულებმა შვიდი ტური მოილიეს. ჯერჯერობით საგულისხმო მხოლოდ ისაა, რომ ორივე ზონას ერთპიროვნული ლიდერები ჰყავს, მაგრამ მათი ეს დაწინაურება ბევრს არაფერს ნიშნავს — მთავარი ბრძოლები ხომ ჯერ წინაა. იმ ინციდენტის თაობაზე, ხარაგაულში, „ჩხერიმელა" — „იმერეთის" თამაშზე რომ მოხდა, უკვე გაუწყეთ — მასპინძელმა მოთამაშემ მერაბ ციკოლიამ თანამსაჯი ჩიგოგიძე ფიზიკურად შეურაცხჰყო. „ჩხერიმელას", დებულების თანახმად, ხუთი ქულა ჩამოაკლეს, თავად უდისციპლინო ფეხბურთელს კი ერთწლიანი დისკვალიფიკაცია და 1000 ლარი ჯარიმაც გამოეწერა.

უსიამოვნო ამბავი აღმოსავლეთშიც მოხდა. VII ტურის საშინაო შეხვედრაში ქარელის „იბერია" ახალციხის „მესხეთს" კი ელოდა, მაგრამ ამაოდ — სტუმართა გამოჩენას საშველი არა და არ დაადგა. ამის მერე ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით მოხდა: სტუმრებს მატჩის ოქმში არგამოცხადებაც ჩაეწერათ და 0:3-იც, მაგრამ ახალციხელებს შესაძლოა უარესიც დაემართოთ — ახალი დებულების თანახმად, თუ ისინი საფუძლიან და საპატიო მიზეზს არ წარადგენენ ფეხბურთის ფედერაციაში, მეტოქის უპატივცემლობისთვის გათამაშებიდან მოხსნა ელით. ქარელში ჩაუსვლელობის მიზეზად ახალციხელები მთელი გუნდის მოწამვლას ასახელებენ: ქარელში წასასვლელად კი გავემზადეთ, მაგრამ გამგზავრების წინ ფეხბურთელებმა ძეხვი და პური მიირთვეს, რამაც ძლიერ აწყინათო. მიზეზი უსაბუთოდ, აბა, რას ივარგებს. ახალციხელებმაც ექიმების დასტური დღესვე უნდა ახლონ ფეხბურთის ფედერაციას, თორემ მერე ბურთაობას ოდენ ტელევიზიით ანაც სხვაგან თუ ნახავენ, თანაც, თუ გუნდი მოიხსნა, მომდევნო ჩემპიონატში დაბალ ლიგაში მოუწევთ ჩანაცვლება.

VII ტური. 23 სექტემბერი

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

**ჰერეთი — კოდაკო 0:0, სამგორი — ავაზა 2:0, შსს აკადემია — მორკინალი 0:1, ახკ — დინამო 2 0:0, არმაზი — ლოკომოტივი 1:2, ცხინვალი — ჟინერი 4:0, შევარდენი 2 — 35 სტუ 1:5, იბერია — მესხეთი (მესხეთი არ გამოცხადდა), შირაქი — მრეტები 1:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 7 | 6 | 1 | 0 | 16:2 | 19 |
| ახკ | 7 | 5 | 1 | 1 | 16:10 | 16 |
| არმაზი | 7 | 5 | 0 | 2 | 16:11 | 15 |
| მორკინალი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:3 | 14 |
| სამგორი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:8 | 13 |
| შსს აკადემია | 7 | 4 | 0 | 3 | 19:10 | 12 |
| დინამო 2 | 7 | 3 | 2 | 2 | 16:10 | 11 |
| იბერია | 7 | 3 | 1 | 3 | 12:10 | 10 |
| შირაქი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 |
| კოდაკო | 5 | 3 | 1 | 1 | 5:6 | 10 |
| ცხინვალი | 7 | 3 | 0 | 4 | 11:9 | 9 |
| შევარდენი 2 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | 9 |
| მრეტები | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| ჟინერი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:11 | 6 |
| თორი | 4 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 |
| 35 სტუ | 6 | 1 | 2 | 3 | 9:10 | 5 |
| მესხეთი | 4 | 1 | 0 | 4 | 5:17 | 3 |
| ჰერეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:11 | 2 |
| ავაზა | 6 | 0 | 0 | 6 | 5:14 | 0 |
| დურუჯი | 6 | 0 | 0 | 6 | 4:24 | 0 |

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

**სულორი — ოლიმპია 0:0, მეშახტე — მაღაროელი 0:1, მამისონი — კახაბერი 5:1, მერცხალი — ეგრისი 3:1, იმერეთი — სალხინო 0:1, ოდიში 2 — ტორპედო 2 1:2, კოლხეთი 2 — ბათუმი 2 2:0, სქური — ჩხერიმელა 4:0, სამაგრელო — საპოვნელა 2:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 7 | 7 | 0 | 0 | 31:7 | 21 |
| მეშახტე | 7 | 6 | 0 | 1 | 19:4 | 18 |
| მერცხალი | 7 | 5 | 1 | 1 | 21:7 | 16 |
| იმერეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 16:6 | 14 |
| კოლხეთი 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 13 |
| სალხინო | 7 | 4 | 1 | 2 | 17:11 | 13 |
| ოლიმპია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:11 | 13 |
| სქური | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| სულორი | 7 | 2 | 3 | 2 | 4:6 | 9 |
| მამისონი | 7 | 2 | 2 | 3 | 19:18 | 8 |
| კახაბერი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:21 | 7 |
| საპოვნელა | 7 | 1 | 4 | 2 | 7:13 | 7 |
| სამეგრელო | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | 5 |
| ტორპედო 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:17 | 5 |
| ეგრისი | 6 | 1 | 1 | 5 | 9:18 | 4 |
| ოდიში 2 | 7 | 0 | 3 | 4 | 3:10 | 3 |
| ბათუმი 2 | 7 | 0 | 2 | 5 | 2:16 | 2 |
| ჩხერიმელა | 7 | 1 | 2 | 4 | 5:14 | 0 |



## შედეგი მალე გვექნება

### ამბობს „სამგურალის" პრეზიდენტი

I ჯგუფში დაბრუნებული წყალტუბოს „სამგურალის" მერვე ჩემპიონატში უიღბლო სტარტმა ბევრს აფიქრებინა, ესენი კვლავ გავარდებიანო. ასეთი ვარაუდი გამოითქვა კიდეც საფეხბურთო კულუარებში. თუმცა წყალტუბოელთა პრეზიდენტი გრიგოლ ქათამაძე ამ ხმებს აინუნშიც არ აგდებს, პირიქით, იმედიანადაა განწყობილი:

— პირველ ტურებში „დინამოსთან" და „მარგვეთთან" დავმარცხდით. ცუდი სტარტიც ამის ბრალია. ერთადერთ ჩავარდნად შინ „ივერიასთან" მარცხს ვთვლი. მაგრამ, იმედია, მდგომარეობას გამოვასწორებთ.

**— სეზონის წინ „სამგურალს" ბევრი ფეხბურთელი არ დაუმატებია...**

— სულ ოთხი-ხუთი ფეხბურთელი. მოლდოვიდან დაბრუნდა გოჩა ბრეგვაძე, რუსეთიდან — გოგელიძე, „ეგრისიდან" ქვაჩახია გადმოვიდა, ზუგდიდიდან — ჯაბუა, ასე რომ სულაც არ ვთვლით, რომ ვინმეზე სუსტები ვართ, წელს ათეულში უნდა მოვხვდეთ. ფინანსები იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ მაღალი კლასის მოთამაშეები მოვიწვიოთ, ამიტომ გუნდი ძირითადად წყალტუბოელი და ქუთაისელი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. მოგეხსენებათ, წყალტუბოს პანსიონატებსა და სასტუმროებში დამსვენებლების ნაცვლად ლტოლვილები ცხოვრობენ და ქალაქს შემოსავლის ეს ძირითადი წყარო აღარ გააჩნია. ამიტომ, ფინანსების უქონლობის გამო, მაღალ ადგილებზე ფიქრი დღესდღეობით შეუძლებელია.

**— სიტყვამ მოიტანა და, ფეხბურთელებს ხელფასებისა და პრემიების აღება ხომ არ უგვიანდებათ?**

— სამ წელია, კლუბის პრეზიდენტი ვარ და რასაც ვპირდები მოთამაშეებს, ვუსრულებ კიდეც. ბევრს არ, უფრო სწორად, ვერ ვპირდები, რადგანაც, როგორც წეღან ვთქვი, წყალტუბო დიდი შესაძლებლობებით არ გამოირჩევა, მაგრამ სიტყვას ვასრულებ. დღეისათვის ყველა ვალი — ხელფასი იქნება თუ პრემია, გასტუმრებული გვაქვს.

**— წარუმატებელი სტარტის შემდეგ ხმები დაირხა თემურ კოხრეიძეს ათავისუფლებენო...**

— პირველად მესმის. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი ვიცი. ეს საკითხი არც წამოჭრილა — ჩვენ მწვრთნელს არ ვემდურით.

**— „სამგურალისთვის" უდაოდ დანაკლისი იყო სეზონის წინ მერაბ მეგრელაძის გუნდიდან წასვლა.**

— მერაბის წასვლით მართლაც ბევრი დაგვაკლდა. გვთხოვა, „ტორპედოში" მსურს კარიერის დასრულებაო და ჩვენც ხელი არ შევუშალეთ. რაც შეეხება მის შემცვლელს, მართალია, ჯერ არ გვყავს, მაგრამ ესაიაშვილის, ჯანაშიას და უშვერიძის იმედი გვაქვს. გამოცდილ ხურცილავასაც შეუძლია მეგრელაძის შეცვლა. ყოველ შემთხვევაში, წელს რომ მიზნები გვაქვს, მათი განხორციელება ამ ბიჭებს შეუძლიათ.

**— დღეს საწვრთნელი პროცესი არათუ აუტსაიდერებში, ლიდერ გუნდებშიც კი მოშლილია. თქვენთან ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა?**

— ჯერ შემთხვევა არ ყოფილა, ვარჯიში რომ ჩაგვშლოდა. ვვარჯიშობთ გუმბრინის ბაზაზე, სადაც ფეხბურთელებს მოსამზადებლად საკმაოდ კარგი პირობები აქვთ. მოედანი ნორმალურია, აღდგენილია აბაზანები, ავტობუსიც სტაბილურად გვემსახურება. ასე რომ, ვარჯიშები რეგულარულად ტარდება.

**— გუმბრინის ბაზა და იქაური კლიმატი მშვენიერი წინაპირობაა საერთაშორისო დონის ბაზის ასაშენებლად. თავის დროზე ხომ ცსკა-სა და მოსკოვის „ტორპედოს" ხელმძღვანელებიც კი აპირებდნენ აქ ბაზის აშენებას. მსგავსი პროექტი ახლაც ხომ არ არსებობს?**

— უცხოელი ინვესტორები არ ჩანან, დიდი ფული არც ჩვენ გვაქვს. ასე რომ, მაღალი დონის ბაზის მშენებლობაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. ისე კი, გუმბრინის ბაზაზე შარშან და შარშანწინ ოლიმპიური და 18 წლამდე ნაკრებები ემზადებოდნენ და კმაყოფილნიც დარჩნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბეჟან გუნავა: არასდროს მითქვამს, „ოდიში" სუპერკლუბი იქნებათ

სეზონის დასაწყისში ბევრი იმედოვნებდა, რომ ხელმძღვანელობაშეცვლილი და ახალი მოთამაშეებით გაძლიერებული „ოდიში" ქართული ფეხბურთის ლიდერებს გაუწევდა მეტოქეობას, მაგრამ ეს იმედი ჯერჯერობით არ მართლდება. სწორედ წარუმატებელი სტარტის მიზეზებზე გავესაუბრეთ „ოდიშის" პრეზიდენტს, პარლამენტარ ბეჟან გუნავას.

— „ოდიშის" გაძლიერების იმედი მართლაც იყო და დღესაც არის. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც მინდა აღვნიშნო, რომ „ოდიშის" ამოცანა წელს ხუთეულში მოხვედრაა. არასდროს მითქვამს, რომ საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებდით. ზუგდიდში დატრიალებული მოვლენების შემდეგ ფეხბურთისთვის არავის ეცალა. მხოლოდ მოთამაშეების პატრიოტიზმისა და ენთუზიაზმის წყალობით შევრჩით I ჯგუფს. ის, რომ მეშვიდე ადგილზე ვიმყოფებით და შეხვედრებს მხოლოდ შინ ვიგებთ, ვფიქრობ, დამაკმაყოფილებელი შედეგია. მართალია, ეს ის არ არის, რასაც ჩვენი გულშემატკივრები და თავად ჩვენ ველოდით, მაგრამ საქმეს მხოლოდ ახლა ვიწყებთ. ძალიან სერიოზულად კი მოვკიდე ხელი ჩემს საქმიანობას, მაგრამ, ეტყობა, გუნდის დაკომპლექტებისას შეცდომებიც დავუშვი. ეს იმის ბრალია, რომ ბევრი რამ არ ვიცოდი. მას შემდეგ კი, რაც პრეზიდენტი გავხდი, ბევრი ვნახე და ვისწავლე.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— გუნდის შინაურ საკითხებს, კერძოდ, კონტრაქტების გაფორმებას. სხვა კონტრაქტებს ვნახულობდი და იმით ვხელმძღვანელობდი, რაც არასწორი იყო. ხელისუფლებასთან ურთიერთობაშიც არ ვიცოდი ბევრი ნიუანსი.

**— საფეხბურთო კულისებში გაუთვითცნობიერებამ შეგიშალათ ხელი?**

— ფეხბურთში იმიტომ მოვედი, რომ მისი სიყვარული და წმინდა პატრიოტული მოსაზრებები მამოძრავებდა. ვიცი, როგორ უყვართ ფეხბურთი ჩემს ქალაქში და როგორი პოტენციაც გაგვაჩნია. მაგრამ ამ პოტენციას გამოყენება უნდა, ნიჭის გამოვლენას გარკვეული ფინანსების ჩადება სჭირდება. ფეხბურთში სხვაგვარად წარმოუდგენელია გუნდის ჩამოყალიბება. ჩემი თვალით ვნახე, როგორ ტიროდნენ გულშემატკივრები სტუმრად შეხვედრების წაგების შემდეგ. მიუხედავად არასახარბიელო სტარტისა, „ოდიშს" ყველა გასვლით შეხვედრაზე 200-300 კაცი დაჰყვება. უმადურობა იქნება, ეს არ დავინახოთ და ხალხის სურვილი არ გავითვალისწინოთ. მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, ვალდებული ვარ ფეხბურთს ყურადღება მივაქციო. მაგრამ, ამ საქმეს ძალიან ბევრი მტერი ჰყავს და ამას დაუფარავად ვამბობ.

**— ვინ გყავთ მხედველობაში?**

— ისინი, ვისაც სტაბილურობა და ფეხბურთის აღორძინება არ სურს. ყველა რაიონში — ჩვენთანაც და სხვაგანაც. მართალია არ ჩანან, მაგრამ ვგრძნობ, რომ ბევრი ხელის შეშლა მათგან მიმდინარეობს.

**— მაინც ვის გულისხმობთ?**

— იმათ, ვინც გაიძახის, რა დროს ფეხბურთია, ვის სცალია ფეხბურთისთვისო და ასე შემდეგ. სხვა თუ არაფერი, მორალურ მხარდაჭერას რაღა უდგას წინ — კაცმა ხომ უნდა თქვას, რომ კეთილი საქმე კეთდება? სხვაგვარად...

**— წყალტუბოში წაგების შემდეგ დაირხა ხმები, მურთაზ ხურცილავა გუნდიდან წავიდაო, რაც მერე მან თვიდ უარყო. ჰქონდა ამ ჭორს საფუძველი?**

— საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?

**— ეს ინფორმაცია არ არის. ხომ ვთქვი, ხმები დაირხა-მეთქი...**

— ეს მტკნარი სიცრუეა. არ მესმის, რატომ უნდა წავიდეს ხურცილავა, რომელსაც დიდი ნდობა გამოვუცხადეთ. ახლა, როდესაც მთელი რიგი პრობლემები გვაქვს გუნდის ჩამოყალიბებაში, ვფიქრობ, რომ მწვრთნელი და პრეზიდენტი ერთად უნდა იყვნენ და დაშვებული შეცდომებიც ერთად გამოასწორონ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რვა ტურის შედეგებით ვიმსჯელოთ მწვრთნელის მუშაობაზე და გუნდიდან გავუშვათ. ასეთი რამ არც ყოფილა და არც იქნება. საერთოდ, პრეზიდენტობისას ბევრი ჭორი მსმენია და ჩემი ნათქვამიც ბევრჯერ დაუმახინჯებიათ. თუნდაც ის გაზეთები ნახეთ, სადაც ჩემი ინტერვიუებია დაბეჭდილი. არასდროს მითქვამს, „ოდიში" სუპერკლუბად უნდა ჩამოვაყალიბოთ-მეთქი. სუპერკლუბი „ოდიშთან" დაკავშირებით საერთოდ არ მიხსენებია.

**— აბა, ვინ თქვა?**

— რომელიღაც გაზეთში ეწერა.

**— „სარბიელში" ასეთი შინაარსის სტატია ნამდვილად არ გამოქვეყნებულა...**

— შეგიძლიათ მოიძიოთ და შეიტყოთ, ეს ვინც დაწერა. ერთი ხანობა ჟურნალისტებს საერთოდ ვემალებოდი — ერთს ვამბობ და სულ სხვა რამეს კი წერენ.

**— ჩვენს მიმართ გაქვთ პრეტენზია?**

— არცერთ გაზეთთან არ მაქვს საპრეტენზიო, მაგრამ, ზოგიერთი ჟურნალისტი, ეტყობა, მორალური მხარდაჭერის მიზნით და იმის გამოც, რომ ფეხბურთზე გული არ აგვიცრუვდეს, ცდილობს, კარგი დაწეროს, რაც ხშირად უკურეაქციას იწვევს. ასეთ სტატიებს სერიოზულ მნიშვნელობას არც ვანიჭებ, მაგრამ გაზეთებს ხალხი კითხულობს და არასწორი წარმოდგენა იქმნება. რაც შემეხება მე, თითოეულ სიტყვას ვაკონტროლებ და ვიცი, ჩემი ნათქვამის უკან რა დგას და რას ვგულისხმობ. ვიმეორებ, არასდროს მითქვამს, „ოდიში" სუპერკლუბი იქნება-მეთქი. სუპერკლუბი საქართველოში კი არა, ესენგეს არცერთ ქვეყანაში არ არის. სუპერკლუბის მნიშვნელობაც მშვენივრად ვიცი და ისიც, რომ ჩვენნაირ ქვეყანაში დღესდღეობით ამაზე საუბარი აბსურდია. ჩემი მიზანი უფრო მოკრძალებულია — შევქმნა საფუძველი ნორმალური გუნდის ჩამოსაყალიბებლად. ამაში ვგულისხმობ საჭირო ინფრასტრუქტურას. დღეს ერთგვარი გულგატეხილობა იგრძნობა, მაგრამ დაწყებულ საქმეს არ მივატოვებ, თუ სასწაული არ მოხდა.

**— რა უნდა იყოს ეს სასწაული?**

— თუ ეს სასწაული მოხდა და ფეხბურთზე ხელი ჩავიქნიე... მოგეხსენებათ, პრეზიდენტად საზოგადოებრივ საწყისებზე ვმუშაობ. საქმოსანი რომ ვიყო და არა პარლამენტის წევრი, სულ სხვა საქმე იქნებოდა. მე ვარ ამ საქმის ორგინიზატორი. ვცდილობ „ოდიშს" დავეხმარო თავისი ინტერესების დაცვაში, რაც ძალიან რთულია. მითუმეტეს, რომ პოლიტიკურ საქმიანობასაც დიდი დრო მიაქვს. არადა, ფეხბურთს დიდი მნიშვნელობას ვანიჭებ, მას ხალხის განწყობის ამაღლებაც შეუძლია და მისი სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებაც. ამიტომ ვფიქრობ, რომ კარგ საქმეს ვაკეთებ. თუნდაც ამის გამო არ ჩავიქნევ ხელს ფეხბურთზე. სასწაულები იშვიათად ხდება.

**— როცა გუნდი არადამაკმაყოფილებლად თამაშობს, უმალ ჩნდება ეჭვი, ფინანსურად კარგად ვერ ჰქონიათ საქმეო. ამ მხრივ „ოდიშში" რა მდგომარეობაა?**

— ვერ ვიტყვი, რომ იდეალური, მაგრამ კატასტროფულიც არ ეთქმის. ყოველ შემთხვევაში, მოთამაშეს გულგატეხის საბაბს არ ვაძლევთ. ჩვენ უფრო სხვა რამ გვაწუხებს — „ოდიშს" სახლში ჯერ ბურთი არ გაუშვია, სტუმრად კი თამაშებს ვერ ვიგებთ. ვფიქრობ, მიზეზი ფსიქოლოგიურია. „გურიასთან" ლანჩხუთში რომ ვთამაშობდით, ფეხბურთელები მთელი 90 წუთის განმავლობაში ნერვიულობდნენ. არადა, წყნარად და აუღელვებლად რომ ეთამაშათ, შედეგი სხვა იქნებოდა, არ წავაგებდით. ბიჭებმა ეს ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ გადალახეს. ერთხელ თუ წაგვივიდა თამაში, დავრწმუნებული ვარ, უკეთ გამოვავლენთ თავს. თანაც, ჯერ არაფერი გვაქვს დაკარგული. თბილისი და ბათუმი აშკარა ფავორიტები არიან, „კოლხეთი" ჩვენზე ოდნავ უკეთესი გუნდია. ხუთეულისათვის მებრძოლი დანარჩენი გუნდები კი დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან და მათთან შებრძოლება შეიძლება. გარდა ამისა, დაშვებულ შეცდომებსაც ვითვალისწინებთ, მეორე წრისათვის „ოდიშის" კიდევ უფრო გაძლიერებას ვაპირებთ. მოკლედ, იმედი არ გადაგვიწურავს.

**— რეალურია, რომ „ოდიშში" გაბისკირიამ ითამაშოს?**

— რა თქმა უნდა, გაბისკირიას დონის მოთამაშე „ოდიშს" სჭირდება, მაგრამ სერიოზული საუბარი ამ თემაზე ჯერ არ ყოფილა. რამდენადაც ვიცი, გაბისკირიას თავისი გეგმები აქვს, რომლებიც ჩვენსას არ ემთხვევა.

**მერაბ მამულაშვილი**


## იყიდება

კეთილმოწყობილი, გარემონტებული, მანსარდიანი

კერძო სახლი

გლდანის რაიონში, 150 კვ. მ საერთო ფართით, 1000 კვ. მ ეზოთი, ყოველგვარი ხეხილით.

ფასი შეთანხმებით.

ტელ: 95 05 57

თუ გსურთ დაეუფლოთ
შიშველი ხელით თავდაცვის
ყველაზე ეფექტურ საშუალებას

ᲐᲘᲙᲘᲓᲝᲡ

მიმართეთ საქართველოს აიკიდოს ფედერაციას მისამართზე:

- ძმები გარიშვილების ქ. №8 (მეტრო გურამიშვილთან)
- თ.ს.უ.-ს II კორპ., ტანვარჯიშის დარბაზი.

ტელ.: 62 28 64

გიწვევთ სამუშაოდ
საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში სხვადასხვა პროფილის ხელოსნებს.

მისამართი: გურამიშვილის გამზ. 33.

ტელეფონები: 22 53 12, 61 66 88

## აბრამ ბაზელის მოდების სახლი

მანეკენების მოსამზადებელი სტუდია აგრძელებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 6 წლის ასაკიდან



მისამართი:
რუსთაველის 2,
გრიბოედოვის თეატრის შენობაში, ოთახი №195
ტელეფონი: 29-16-72, 37-58-88

მიღების დღეები:
ორშაბათი: 15-19 სთ
ოთხშაბათი: 15-19 სთ
ხუთშაბათი: 15-19 სთ
შაბათი: 12-16 სთ

# სასწაული აღარ მოხდა

## ევროპის თასი.
II ტური. 24 სექტემბერი

A ჯგუფი

პოლზელა (სლოვენია) — სკავოლინი (იტალია) 90:85; ასკ (ლატვია) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) 99:80; ნობილესი (პოლონეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 69:80

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ასკ** | 2 | 2 | 0 | 202:175 | 4 |
| **ფენერბაჰჩე** | 2 | 2 | 0 | 169:148 | 4 |
| **პოლზელა** | 2 | 1 | 1 | 169:174 | 3 |
| **სკავოლინი** | 2 | 1 | 1 | 180:167 | 3 |
| **ნობილესი** | 2 | 0 | 2 | 164:183 | 2 |
| **რაბოტნიჩკი** | 2 | 0 | 2 | 157:194 | 2 |

B ჯგუფი

ვოლტექსი (სლოვენია) — ანტიბი (საფრანგეთი) 67:74; სლობოდა დიტა (ბოსნია) — სენტ-პოლტენი (ავსტრია) 83:65; ჟალგირისი (ლიტვა) — ზაგრები (ხორვატია) 75:42

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ჟალგირისი** | 2 | 2 | 0 | 169:97 | 4 |
| **ანტიბი** | 2 | 2 | 0 | 149:137 | 4 |
| **სლობოდა** | 2 | 1 | 1 | 138:159 | 3 |
| **ზაგრები** | 2 | 1 | 1 | 116:140 | 3 |
| **ვოლტექსი** | 2 | 0 | 2 | 132:148 | 2 |
| **ს-პოლტენი** | 2 | 0 | 2 | 135:158 | 2 |

C ჯგუფი

რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ჰაპოელ გალილ ელიონი (ისრაელი) 76:66; პლევენი (ბულგარეთი) — მტზ (მაკედონია) 103:94; ბენფიკა (პორტუგალია) — ულმი (გერმანია) 91:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | 2 | 2 | 0 | 168:131 | 4 |
| **პლევენი** | 2 | 2 | 0 | 214:192 | 4 |
| **ბენფიკა** | 2 | 1 | 1 | 189:192 | 3 |
| **ულმი** | 2 | 1 | 1 | 173:179 | 3 |
| **ჰაპოელი** | 2 | 0 | 2 | 154:168 | 2 |
| **მტზ** | 2 | 0 | 2 | 159:195 | 2 |

D ჯგუფი

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — პსჟ რასინგი (საფრანგეთი) — წუხელ; აპოელი (კვიპროსი) — ნიუ ვეივი (შვედეთი) — წუხელ; პორტუ (პორტუგალია) — ჰაგენი (გერმანია) 88:70

E ჯგუფი

გენტი (ბელგია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 77:87; ჰერცოგენბოსი (ჰოლანდია) — აქილეასი (კვიპროსი) 90:84; შლიონსკი (პოლონეთი) — ზადარი (ხორვატია) 80:64

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ირაკლისი** | 2 | 2 | 0 | 187:153 | 4 |
| **შლიონსკი** | 2 | 2 | 0 | 165:146 | 4 |
| **ჰერცოგენბოსი** | 2 | 1 | 1 | 172:169 | 3 |
| **ზადარი** | 2 | 1 | 1 | 135:144 | 3 |
| **გენტი** | 2 | 0 | 2 | 141:158 | 2 |
| **აქილეასი** | 2 | 0 | 2 | 160:190 | 2 |

F ჯგუფი

სუნაირი (ბელგია) — აპოლონი (საბერძნეთი) 74:71; უნივერსიტატია (რუმინეთი) — სტავექსი (ჩეხეთი) 74:96; ბუდიველნიკი (უკრაინა) — აკვარიუსი (რუსეთი) 86:56

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ბუდიველნიკი** | 2 | 2 | 0 | 203:125 | 4 |
| **სუნაირი** | 2 | 2 | 0 | 148:140 | 4 |
| **აპოლონი** | 2 | 1 | 1 | 163:145 | 3 |
| **სტავექსი** | 2 | 1 | 1 | 167:166 | 3 |
| **აკვარიუსი** | 2 | 0 | 2 | 125:160 | 2 |
| **უნივერსიტატია** | 2 | 0 | 2 | 143:213 | 2 |

G ჯგუფი

ბეოცინი (იუგოსლავია) — ტდკ (ესპანეთი) 81:61; ტორპან პოიატი (ფინეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) 75:60; შახტიორი (უკრაინა) — ავტოდორი (რუსეთი) 88:104

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ტორპანი** | 2 | 2 | 0 | 160:121 | 4 |
| **ავტოდორი** | 2 | 2 | 0 | 179:161 | 4 |
| **ბეოცინი** | 2 | 1 | 1 | 154:136 | 3 |
| **ტდკ** | 2 | 1 | 1 | 143:144 | 3 |
| **ინტერი** | 2 | 0 | 2 | 123:157 | 2 |
| **შახტიორი** | 2 | 0 | 2 | 149:189 | 2 |

H ჯგუფი

ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — რიელო (იტალია) 66:70; ვითა (საქართველო) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 78:87; კიორმენდი (უნგრეთი) — ფთთ (თურქეთი) 82:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რიელო** | 2 | 2 | 0 | 146:114 | 4 |
| **თაუერზი** | 2 | 1 | 1 | 135:154 | 3 |
| **კიორმენდი** | 2 | 1 | 1 | 153:145 | 3 |
| **ვითა** | 2 | 1 | 1 | 150:158 | 3 |
| **ფთთ** | 2 | 1 | 1 | 163:164 | 3 |
| **ბუდუჩნოსტი** | 2 | 0 | 2 | 148:160 | 2 |

**თანაბარქულიანი გუნდების ადგილების განაწილებისას უპირატესობა ენიჭება ერთმანეთთან შეხვედრებში ჩაგდებული და მიღებული ბურთების სხვაობას.**

**მომდევნო ტური, 1 ოქტომბერი: ვითა — რიელო, ბუდუჩნოსტი — კიორმენდი, ლონდონ თაუერზი — ფთთ**

მატჩისწინა ინტერვიუში „ვითას" მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა „თაუერზი" ძლიერ გუნდად შერაცხა და დასძინა, „რიელოსთან" 18 ქულით რომ წააგო, ეს არაფერს ნიშნავსო. რატომ წააგეს ინგლისელებმა პირველი მატჩი ასეთი სხვაობით, ცოტა ძნელი გასაგებია. იქნებ „რიელოა" ძალზე მაგარი? ამას მომდევნო კვირაში შევამოწმებთ, მაგრამ გუშინწინ „თაუერზმა" შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო მეტად თანაბარი გუნდი, არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემების მქონე. თუკი „ვითას" წინანდელ მეტოქეს „კიორმენდს" შევადარებთ, ინგლისელებს უფრო მაღალი კლასის მოთამაშეები უნივერსალური ჰყავდათ და „კოლექტივი" რომ იყო, ესეც უფრო იგრძნობოდა. ლონდონელ მოთამაშეთა აღნიშნული თანაბარობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ცვლილება თითქმის არ იგრძნობოდა, ძირითადიც და სათადარიგოც მეტ-ნაკლებად ერთნაირები იყვნენ. და კიდევ, „თაუერზმა" ორი ტაიმი ზონური პრესინგი ითამაშა. ეს საკმაოდ იშვიათი რამაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ გუნდის ფიზიკურ მომზადებას.

მატჩის დებიუტი ჩვენთვის სასურველზე უკეთესი იყო. სანაძემ დაიბრიყვა სტუმართა გერმანელი დეფიში — ჯერ ჩაგდებულ სამქულიანზე ჯარიმა აკიდა, მერე ბურთიც ჩაუჭრა და ანგარიში 6:0 გახადა. თბილისელებმა იცოდნენ, რომ მეტოქე თავიდანვე ზონურ პრესინგს შესთავაზებდა და მზად დახვდნენ: იოლად არღვევდნენ დაცვას და ქულებს აგროვებდნენ. სამაგიეროდ, ჩვენი დაცვა მთლად ვერ იყო ხათაბადოდ დარაზმული: გამთამაშებელი ლუისი იოლად აკეთებდა გარღვევებს, ივარგეს ოსტინმა და დეფიშმაც. სხვათა შორის, დეფიშს სამი სამქულიანი აქვს ჩაგდებული. მეტი ამ კაცს თავი არაფრით გამოუჩენია. ის კი არა, დაცვაში სანაძემ ისე დაჩაგრა, რომ შესაცვლელი შეიქნა. ფარი ჩვენი იყო. ერთი ნაცვლიშვილი აშკარად ჯობნიდა ორ და, ხანდახან სამ ინგლისელსაც. შენგელიას მორიგეობით ედგნენ ჰუქსი, ოსტინი და კანინგემი (ესეც „თაუერზის" უნივერსალობის და თანაბარობის კიდევ ერთი დასტური). ჩვენი ცენტრი რიგ-რიგობით ჯობნიდა მათ.

მეხუთე წუთის დასაწყისში ლუისმა მორიგი გარღვევა გააკეთა და ლონდონელები 14:13 დააწინაურა. ამის მერე ვითელები სულ მდევრის როლში იყვნენ. აშკარად ვერ თამაშობდა უკანა ხაზი. სტუმართა ზონური პრესინგის გამკაცრებისთანავე ქართველთა შეცდომებმა იმატა. უსტიაშვილს სულ უფრო და უფრო უჭირდა ბურთის მეტოქის მოედანზე გადატანა. ის კი არა, ორჯერ 10 წამის წესი დაარღვია, ამ ხნის განმავლობაში ბურთი საკუთარ მოედანზე გააჩერა, შეტევის უფლება „თაუერზმა" გადაიბარა. უსტიაშვილი, საზოგადოდ, ნელი და დაწყნარებული თამაშის მომხრეა. მას კარგი პასის გაკეთება ურჩევნია თავად შეტევას. აკი რამდენიმე შესანიშნავი პასიც მისცა ფარქვეშ თანაგუნდელებს, მათ კი ვერ გამოიყენეს. უსტიაშვილის სტილის საპირისპირო მოთამაშეა თორთლაძე. იგი ოდნავი დაგვიანებით გამოჩნდა მოედანზე და თავიდან ინგლისელთა მახეებს სხარტად დაუძვრა, მაგრამ მერე რამდენჯერმე დაკარგა ბურთი. ლუისი კი ბურთს ბურთზე გვიგდებდა. მას თბილისელთაგან ვერავინ მოერია. ის კი არა, ლუისი, ლონდონელთაგან საუკეთესო და ყველაზე საშიში, სროლის დროს უპატრონოდ მარტო რჩებოდა ხოლმე. ამისთანა შანსებს ნორმალური ადამიანი ხელიდან არ უშვებს ხოლმე და ამერიკელმაც პირველ ტაიმში 18 ქულა გააკეთა.

შეტევაში კი სანაძის იმედით ვიყავით. ტაქტიკაც გამოიკვეთა — ბურთის გათამაშება და სანაძის გაყვანა სამქულიანის სასროლად. გიამაც თავი არ შეირცხვინა და შესვენებამდე ექვსი სამქულიანი ჩააგდო. ცალკე საუბრის თემაა საჯარიმოები. უკვე მერამდენედ ხდება, რომ საჯარიმოს ხაზიდან ძვირფას ქულებს ვკარგავთ. სხვისი რა გასაკვირია, როცა ერთხელ იმავე სანაძემ სამიდან ორი სროლა ააცილა. ტაიმის ბოლოს ამ საქმეში ინგლისელებმაც მოგვბაძეს. ანგარიშიც საჯარიმოდან გათანაბრდა: დადიანმა ორჯერ მიაღწია მიზანს და შესვენებამდე 58 წამით ადრე 44:44 გახდა. ტაიმის მოგება არ გვეწერა, რადგან ლუისმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო.

მეორე ტაიმი ორმხრივი შეცდომებით და უზუსტობით აღინიშნა. მხოლოდ 2,10 წუთის შემდეგ ჩააგდო კანინგემმა მარჯვენა ფრთიდან პირველი ბურთი. ლონდონელები ამან უფრო გამოაცოცხლა. „პირველი შეტევა" კიდევ უფრო ააჩქარეს და ხშირად სამი თაუერზელი ორი, ან სულაც ერთი ვითელის წინააღმდეგ გადიოდა. კანინგემმა შორიდან სროლაც მოსინჯა და სამქულიანი ჩაგვიგდო. მოკლედ, ჩვენთვის სასიკეთო არაფერი ხდებოდა. ერთი სასეირო ის იყო, რომ ქარაბაკმა ნაცვლიშვილს მიცა პასი, ხოლო ეს ლუისს თავზე გადაახტა და ისე ჩააგდო. იქვე ლუისმა გარბენი გააკეთა, მაგრამ ჩხეიძემ და უსტიაშვილმა მთლად კარგად ვერ გაათამაშეს ბურთი და დიუეინმა ჩაჭრა. სანაძეს სამქულიანები აღარ მისდიოდა. ისე, ვითელთაგან მხოლოდ იგი ესროდა შორიდან. სხვა ამის გაკეთებას არც ცდილობდა და გიაც იძულებული იყო შორიდან შეეტია კალათისთვის. ინგლისელებმა კი სისწრაფეში იმდენად გვაჯობეს, რომ პასებსაც აღარ აკეთებდნენ და ინდივიდუალური გარღვევებით აგროვებდნენ ქულებს. დამთავრებამდე 11,34 წუთით ადრე ეს იტალიელმა ბუდინმა გააკეთა: თავისივე მოხსნილი ბურთი თავად წაიღო და „თაუერზი" 13 ქულით დააწინაურა.

ამგვარი დეფიციტი ვერაფერი სახარბიელოა და ბევრი გუნდი ფარ-ხმალსაც კი დაყრიდა. ვითელებს ერთი პირობა თითქმის გაუქრათ ბრძოლისუნარიანობა და მარცხსაც შეეგუენ, მაგრამ მათ კარგად ახსოვდათ წინა მატჩში თავიანთ მიერ ჩადენილი სასწაული და ძნელი სავარაუდო იყო, რომ შეხვედრა ასე დაეთმოთ. მაყურებელიც ელოდა „ვითას" აფეთქებას და დამთავრებამდე 9.40 წუთით ადრე ამასაც მოვესწარით. ამ სასიამოვნო მონაკვეთს წინ პატარა „მოთელვაც" უძღოდა: უსტიაშვილმა იდეალური პასი მისცა ნაცვლიშვილს და ამანაც ეფექტურად ჩატენა.

„ვითას" ამბოხს კი სათავე წინა მატჩის მსგავსად ქარაბაკმა დაუდო, როცა სამქულიანი ჩააგდო — 57:67. უსტიაშვილმა კანინგემის ნასროლი მოხსნა და დიუეინი ნაცვლიშვილზე დაჯარიმდა. იქვე ბუდინმა გარბენი გააკეთა და სანაძემ სამქულიანიც არ დააყოვნა. ნაცვლიშვილი დაცვაში რიგიანად ირჯებოდა, ჩაჭრაც გააკეთა, მაგრამ შეტევაში გაქცეულმა ტარებისას ბურთი ფეხში მოირტყა და აუტში გადაუვარდა. მთელს მეორე ტაიმში კარგად თამაშობდა დადიანი, რომელმაც ლუისის პარპაში აღკვეთა, ხოლო დამთავრებამდე 6,51 წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო. სამწუხაროდ, ინგლისელები არ დაბნეულან — ოსტინმა და ჰუქსმა მონაცვლეობით შეუტიეს შედეგიანად, ხოლო როცა დადიანმა ფარქვეშ ნაცვლიშვილი იპოვა ანგარიში 68:71 გახდა. ცოტა ხანში თანაფარდობაც აღდგა: ისევ და ისევ სანაძის სამქულიანმა მიაღწია მიზანს.

კანინგემის ორი ქულის შემდეგ ფარზე ორი მეტად საჭირო ბურთი ვერ ავიღეთ. ამით ფსიქოლოგიურმა უპირატესობამ ლონდონელთა მხარეს გადაინაცვლა, მაგრამ ვითელებმა კვლავ იძალეს. მართალია, სანაძის სამქულიანი კალათიდან ამოვარდა, მაგრამ დადიანი იქვე დაუხვდა და ფრენბურთელივით უკან დააბრუნა. ამ მომენტში მას უხეშად ეთამაშნენ. ღუდუმ საჯარიმო კი ვერ ჩააგდო, მაგრამ ნაცვლიშვილმა გამეტებით იბრძოლა და პრაქტიკულად დაკარგული ბურთიდან სადაო გამოადნო. იმავე შეტევაში სანაძის აცდენილი ბურთი ქარაბაკმა მოხსნა. დამთავრებამდე 2,52 წუთი, ხოლო „ვითას" შეტევის დამთავრებამდე 10 წამი რჩებოდა, როცა დადიანმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო — პირდაპირ ლუისზე წავიდა და ეს უკანასკნელი დააჯარიმა. ვითელთა კაპიტანმა ორივე სროლა ჩააგდო და 75:74 დავწინაურდით, სამწუხაროდ, უკანასკნელად. ჰუქსმა ორი საჯარიმო ჩააგდო. ნაცვლიშვილმა ცუდი მდგომარეობიდან ააცილა, ლონდონელებმა კი თავისი შანსი არ დაკარგეს. ქარაბაკმა ორი საჯარიმოთი ერთ ქულამდე შეამცირა სხვაობა. სირენამდე 1,06 წუთით ადრე კვლავ დადიანმა იეშმაკა: შეგნებულად გაიწია ოსტინისკენ და საჯარიმოების უფლება მიიღო. ზუსტად ერთხელ ესროლა — 78:80. მატჩის ბედი კი ჩვენს მოედანზე გადაწყდა. ბურთმა დიდხანს იტრიალა ვითელთა ფარის სიახლოვეს: მოვხსენით — დავკარგეთ, ჩავჭერით — კიდევ დავკარგეთ. ბოლოს კი ჰუქსმა ანგარიში 78:82 გახადა.

რჩებოდა 31 წამი. სანაძემ მარჯვნიდან ააცილა სამქულიანი, მაგრამ ბურთი მაინც ჩვენ დაგვრჩა. უსტიაშვილმა შუიდან ვერ მიაღწია მიზანს. გადმოვარდნილ ბურთს ლუისი დაეპატრონა და დადიანს სხვა გზა არ ჰქონდა, დაჯარიმდა. მერე თორთლაძემ სცადა შორიდან სროლა, სამწუხაროდ, უშედეგოდ. ბოლო წამებზე ჰუქსმა საჯარიმო ჩააგდო, მეორე კი ააცილა, მაგრამ თავადვე აიღო და ჩატენვით საბოლოო წერტილი დასვა. გახარებული ჰუქსი ღრიალ-ღრიალით გამოვარდა მოედნის ცენტრისკენ, გზად ნაცვლიშვილმა მუცელში აპერკოტი მიაყოლა (სრულიად სამართლიანად), მაგრამ მოგებით ალგზნებულ ლონდონელს არც კი უგრძვნია.

**მერაბ რატიშვილი**

ევროპის თასი. ჯგუფური ეტაპი. H ჯგუფი. II ტური
**ვითა (თბილისი, საქართველო) — ლონდონ თაუერზი (ინგლისი) 78:87 (44:45)**
თბილისი. სპორტის სასახლე. 24 სექტემბერი. 10 000 მაყურებელი
მსაჯები: სემიონ პლამენოვი (ბულგარეთი), მეჰმეთ რესერათანი (თურქეთი).

| ვითა | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ. | საჯარიმო: სულ | საჯარიმო: ჩაგდება | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 უსტიაშვილი | 1 | 3 | 1 | 2 | — | 2 | 1 | 4 |
| 15 ჩხეიძე | 2 | — | 1 | — | — | 1 | — | 3 |
| 7 სანაძე | 27 | 3 | 1 | 1 | — | 4 | 2 | 2 |
| 10 ნაცვლიშვილი | 16 | 7 | — | — | — | 8 | 6 | 3 |
| 11 შენგელია | 8 | 10 | — | — | — | 4 | 2 | 2 |
| 4 თორთლაძე | — | 2 | — | — | — | — | — | — |
| 12 ქარაბაკი | 12 | 5 | 1 | 2 | — | 6 | 5 | 3 |
| 13 დადიანი | 12 | 3 | 2 | — | — | 10 | 7 | 5 |
| სულ | 78 | 33 | 6 | 5 | — | 35 | 23 | 22 |

| თაუერზი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ. | საჯარიმო: სულ | საჯარიმო: ჩაგდება | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 ლუისი | 29 | 4 | 2 | 2 | — | 10 | 8 | 3 |
| 11 დეფიში | 9 | — | — | — | — | — | — | 2 |
| 6 ჰუქსი | 14 | 6 | — | — | — | 11 | 8 | 4 |
| 12 კანინგემი | 19 | 8 | — | 1 | 1 | — | — | 3 |
| 10 ოსტინი | 8 | 4 | — | — | — | 1 | — | 4 |
| 4 ბუდინი | 4 | 2 | 1 | 1 | — | 2 | 2 | 3 |
| 15 დიუეინი | — | 1 | — | — | — | — | — | 3 |
| 13 გოტფრიდი | 4 | 1 | — | — | — | 4 | 2 | 3 |
| სულ | 87 | 26 | 3 | 4 | 1 | 28 | 20 | 25 |

## მატჩის შემდეგ

კევინ ქედლი, „თაუერზის" მწვრთნელი:

— ვერონაში „რიელოსთან" დაცვაში ძალზე უხეიროდ ვითამაშეთ. თბილისელებთან შეხვედრისთვის უპირველესად ეს გავითვალისწინეთ და წარმატებასაც მივაღწიეთ. იტალიიდან აქამდე ძნელი და მომქანცველი მგზავრობა გვქონდა და ძალიან დაღლილები ჩამოვედით, მაგრამ ბიჭებმა შეძლეს ძალების მოკრება და შესანიშნავად ითამაშეს. ასე რომ ვერონაში გვეთამაშა, საკითხავია, ვინ მოიგებდა.

საქართველოს ჩემპიონზე არაფერი ვიცოდით. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან შევხვედრივართ რუსეთის, ესტონეთისა და ლიტვის გუნდებს. ქართველებიც ამათნაირად თამაშობთ. დასაწყისში გაგვიკვირდა ქართველების ძალზე კარგი თამაში დაცვაში, მაგრამ მერე გადავეწყვეთ და სუსტი ადგილებიც მოვნახეთ. „ვითა" საკმაოდ კარგი გუნდია, მაყურებელთან მათი ერთიანობა კი მართლაც შთამბეჭდავია. ჩვენ გუნდისა და მაყურებლის ამ ერთიანობის წნეხში მოვექეცით, ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც გავუძელით.

გამარჯვების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. „ვითადან" ძალიან მომეწონა სანაძე, რომელმაც პირდაპირ სისხლი გაგვიშრო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დამთავრდა.

ქართველი ფანები არ უნდა იყვნენ თავიანთი გუნდის უკმაყოფილო. თამაშიც კარგი სანახავი და საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდმა მაღალი დონის კალათბურთი ითამაშა.

თემურ დათიკაშვილი, „ვითას" პრეზიდენტი:

— წაგების მიუხედავად ჩვენმა ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ევროპის ძლიერ გუნდებს თანაბრად ებრძოლონ. თავად ნახეთ, რა დონის გუნდთან გვქონდა საქმე. მაგრამ ერთი რამ ძალიან მინდა აღვნიშნო: აუცილებელია, მოთამაშეებმა იგრძნონ ყურადღება. ისეთ საშინელ პირობებში, როგორიც ჩვენ გვაქვს, ძნელია ძლიერი გუნდის დაყენება, დროა, ყველამ, ვისაც ეხება თუ არ ეხება, მოიხედოს კალათბურთისკენ. ჩვენ საკმაოდ კარგი მოთამაშეები გვყავს, რომელნიც თავს არ ზოგავენ, მათ კი ელემენტარული ყურადღებაც კი აკლიათ. მწამს, რომ „ვითა" და „დინამო", კარგი პირობები თუ ექნათ, უფრო მეტს შეძლებენ...



# თეთრები იწყებენ, შავები იგებენ

24 სექტემბერი
სპორტის სასახლე...

## ბადრი კეთილაძის ფოტო რეპორტაჟი


გამარჯვებულთა მწვრთნელი კევინ ქედლი



ხანაძემ შვიდი ხამქულიანი ჩააგდო, მაგრამ ხაქმეს არ ეშველა


ბესიკ ლიპარტელიანს სათქმელი ბევრი ჰქონდა


დენი ლუისმა სისხლი გაგვიშრო



ალან კანინგემმა სპორტის სასახლის ფარზე „ავტოგრაფი“ დაგვიტოვა

## კრივი

# რომ არ გაბრიყვდი, ამხ. ტაისონო?




მსოფლიოს მოწინავე ყალთაბანდმა და კრივის მენეჯერთა მენეჯერმა დონ კინგმა ბოლო დღეებია, ორი საგულისხმო რამ ჩაიდინა. წინა ხუთშაბათს ეს პატივცემული მოღვაწე ლექციით წარსდგა ჰარვარდის სამართალმცოდნეობის სკოლის ფორუმის წინაშე, მერე კი მსმენელებს კითხვების პასუხად მიუგო, რომ თურმე ჭკუას კარგავს იურისპრუდენციაზე და აშშ-ის კონსტიტუციასაც ფრიად ემადლიერება ცხოვრებაში მოხვეჭილი წარმატებისათვის.

სამშაბათ საღამოს კინგმა მსოფლიო საბჭოს (ვბკ) საჩემპიონო სარტყელზე ხელი აალებინა მაიქ ტაისონს. ეს ამბავი მსოფლიოს მოფინეს ჩემპიონობის პირველი პრეტენდენტის, ბრიტანელი ლენოქს ლუისის თანა-პრომოუტერებმა დინო დუვამ და პანოს ელიადესმა. მეხიკო-სითის შტაბ-ბინიდან იგივე დაადასტურა ვბკ-მა, ვინაც გამოაქვეყნა განცხადება, რომ თუმც ტაისონის გადადგომის დასამტკიცებლად ხმათა თვლა გრძელდება, მას უკვე იმდენმა დაუჭირა მხარი, რომ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულად ჩაითვალოსო.

დღეს ვბკ მეხიკოშივე მართავს აუქციონს, სადაც ლუისისა და ამერიკელი ოლივერ მაქქოლის ახალი საჩემპიონო შერკინების გამართვის უფლებას გაყიდის. სამაგიეროდ, კინგი ტაისონს 9 ნოემბერს ლასვეგასში აჩხუბებს ევანდერ ჰოლიფილდთან. ამ ბრძოლაში გათამაშდება ასოციაციის (ვბა) ტიტული, მაიქმა ბრუს სელდონის გალახვით რომ მოიპოვა.

ლუისის ბანაკი ძალზედ წუხს კინგისა და მისი შეგირდის უსაქციელობის გამო. დუვა და ელიადესი აცხადებენ, ან ტაისონს ჩვენს ლენოქსთან შებმა ეშინია, ანაც კინგი მას ახლოს არ აკარებს მოკრივეებს, თავად კუჯებსავით რომ ვერ მართავსო. ეს მეორე ვერსია უფრო სარწმუნოა, მით უფრო, თუ როგორც ამბობენ, ტაისონი კინგს ეურჩებოდა და ვბკ-ის სარტყლის უბრძოლველად დათმობა არ სურდა. ზოგი ჭორის მიხედვით, მოკრივე აფერისტ კინგს სასამართლოშიც უპირებდა ჩივილს!

კინგის გეგმა ვითომც ასეთია: ტაისონმა ვბა-ს ტიტულის დაცვის შემდეგ ფედერაციის (იბფ) და ორგანიზაციის (ვბო) სარტყლებიც უნდა მოიპოვოს და მხოლოდ ამის შემდეგღა ხელახლა უნდა მოიგოს ვბკ-ის პირველობა. თუ რისთვის კეთდება ეს, ალბათ მარტო მენეჯერთა მენეჯერმა და მამა-ზეციერმა თუ უწყიან.

## ქართული რაგბი

# ნაბიჯი პირველი




საქართველოში რაგბს ევროპელებზე ნაკლებად რომ არ თამაშობენ, ბევრჯერ დადასტურდა

1999 წლის მსოფლიო თასისკენ აღმავალ კიბეზე პირველი საფეხური აიარა საქართველოს კაცთა ნაკრებმა. ჩვენმა „ბორჯღალოსნებმა" კვირას, პრაღაში, წელს უკვე მეორედ დაამარცხეს ჩეხეთი, ამჯერად 18:14 და დაამტკიცეს, რომ უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, კვლავაც უსიტყვოდ ჯობიან კონტინენტური ევროპის წარმომადგენელს, რომელიც რაგბს იმ დროიდან თამაშობს, ჩვენთან ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია და მისთანები რომ ჩაღდებოდა.

ჩვენი ბიჭები შინ იმ რეისით დაბრუნდნენ, „ლონდონ თაუერზი" „ვითასთან" სათამაშოდ რომ ჩამოიყვანა. რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა გია კუბლაშვილმა თამაში ტრადიციულად ჩაიწერა ვიდეო-ფირზე. მის შემოკლებულ ვარიანტს ალბათ მალე იხილავს „მეორე არხის" მაყურებელი.

საქართველომ ჩეხეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: უკანა ხაზი — იურინი (პენზის კლუბი, რუსეთი); ჯიმშელაძე (გუმარი), ჩიქვინიძე (გუმარი), ალანია (ქორები), ბუგიანიშვილი (გუმარი); ტეფნაძე (ყოჩები), მოდებაძე (გუმარი); შერკინება — ჩიქავა (ყოჩები), მთიულიშვილი (გუმარი), ფირცხალავა (აია); მჭედლიშვილი (გუმარი), ლეჟავა (ყოჩები); ობოლაძე (გუმარი, კაპიტანი), ლაბაძე (პენზა), ჯაფარაშვილი (ქორები). შესვენებაზე ბუგიანიშვილისა და ფირცხალავას ნაცვლად შევიდნენ მაჩიტიძე და ცაბაძე (ორივე გუმარი).

გენერალური მდივნის გარდა ნაკრებს ჩეხეთში ახლდნენ მწვრთნელები გურამ მოდებაძე და დავით კილასონია და რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე. გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომელმაც „ბორჯღალოსნებს" მორიგი „ვაკური ომისა" და სხვა პრობლემათა წამოჭრის კვალად ხელი მორალურადა და მატერიალურადაც გაუმართა. დეპარტამენტის ერთერთი სამმართველოს თავკაცი, ბებერ ქართველ მორაგბეთა პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე ნაკრებს საგულშემატკივროდ პრაღას წაყვა და ბიჭებისთვის არც ამჯერად დაუკლია სითბო და ქომაგობა.

ვიდეო-ჩანაწერიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ქართველები რაგბს ჩეხებზე აშკარად უკეთ თამაშობენ. ჩვენებს სლავებზე ჭკუაცა და მონდომებაც მეტი აქვთ, ტაქტიკა-ტექნიკითაც ჯობიან და არც ჯანით ჩამოუვარდებიან. ძალთა ამგვარი განლაგებისას ჩეხებთან მხოლოდ ჩვენივე უნესობით ანაც არა-ორგანიზებულობით თუ წავაგებდით, რაც, საბედნიეროდ, ამჯერად არ მომხდარა.

მიღწეულია ერთობ მნიშვნელოვანი გამარჯვება. ანი რუსეთის ძლევაზეც შეიძლება სერიოზულად ფიქრი. ეს თამაში თბილისში კვირას, 20 ოქტომბერს უნდა გაიმართოს. მისთვის სამზადისი ამთავითვე, გადაუდებლადაა დასაწყები. ჰოდა, რაგბის კავშირიც არ უქმობს და ისეთ სეირსა გეგმავს, ხალხი ბლომად რომ უნდა მიიზიდოს.

მუშაობენ მწვრთნელებიც. მოგების მიუხედავად, თამაშმა მათ ბევრი საფიქრალი გაუჩინა, რაც წინსვლის წინაპირობაა. მათ მავან მოთამაშეებს პრაღაში თავის გამოჩენის ბოლო შანსი მისცეს. ამით ექსპერიმენტების ხანა ამოწურულა. ამიერიდან ნაკრების შემადგენლობა დასტაბილურდება. მოსალოდნელია რამდენიმე გამოცდილი მოთამაშის უცხოეთიდან შემომატებაც. ესენი არიან გია რაფავა და ვანო ნადირაძე (საფრანგეთიდან), არჩილ ქავთარაშვილი (იტალიიდან), კახა გიუნაშვილი (აშშ-დან). ამისი უფროსი ძმის — „ქორების" 8 ნომერ გიას ნაკრებში დაბრუნებაცაა სავარაუდებელი.

პრაღის მატჩში ჩვენებს მაინცდამაინც არ გასჭირვებიათ. მასპინძლებმა თავიდან შეუტიეს და 3:0 დაწინაურდნენ. მერე ალანიას გარღვევა დასრულდა ფირცხალავას ძალისმიერი ლელოთი. შესვენებამდე ჩეხები წამოგვეწივნენ, მეორე ნახევრის დასაწყისში კი მეორედაც გავიდნენ წინ 14:10.

ეს იყო და ეს. თამაშის ბოლომდე დარჩენილ ნახევარ საათში ქართველები აბურთავდნენ და მეტოქე ყოველმხრივ დაჯაბნეს, მაგრამ ფრანგმა მსაჯმა ჩვენს ბიჭებს ორი ლელო არ ჩაუთვალა და 4 ქულაზე მეტად დაწინაურება არ დაანება. ბოლო წუთზე ამის გამო ჩეხებს უკანასკნელი შანსიც მიეცათ: საჯარიმოდან ბურთი კიდეზე კუთხის ალამთან გადააგდეს, იქ კი დერეფანი მოიგეს და სამმეოთხედელებს შეატევინეს, მაგრამ ამაოდ. რაგბი, საზოგადოდ, სამართლიანი თამაშია და ამჯერადაც გაიმარჯვა იმან, ვინც მეტად იმსახურებდა.

მთელი თამაში ცრიდა. მოედანი დამბალიყო. ჩვენებს ამგვარ ნიადაგზე სწრაფად სირბილი უჭირდათ და დაცვისას მეტოქეს მთლად დროულად ვერ ხურავდნენ. მწვრთნელებს ისიც აწუხებთ, რომ უკანა ხაზს სიჩქარე დარშიც აკლია ხოლმე. ისე კი აღნიშნავენ, რომ შერკინების წინა ხაზი კლდესავითაა და მასში არჩევანიც დიდი გვაქვს. და კიდევ, უთუოდ შესანიშნავი ეთქმის გია ლაბაძის დებიუტსა და „ბეირუთ" იურინის დინჯ, თითქმის უშეცდომო თამაშს.

ახლა ისევ საშინაო თამაშების ჯერი დაგვიდგა. დღეს მოწინავე ექვსეულის შეჯიბრი განახლდება. რუსებთან თამაშამდე ოთხი ტური გაიმართება, მერე — კიდევ ხუთი, ბოლოს კი 21 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე — ფინალური ოთხეულის კიდევ ორი წრე.

### მოწინავე ექვსეული

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 15 | 13 | 0 | 2 | 490:117 | 70- 9 | 26 |
| გუმარი | 15 | 13 | 0 | 2 | 485:151 | 70-12 | 26 |
| ქორები | 15 | 10 | 0 | 5 | 324:128 | 41-10 | 19 |
| აია | 15 | 8 | 0 | 7 | 351:169 | 44-18 | 15 |
| გელათი | 15 | 6 | 1 | 8 | 200:356 | 14-51 | 13 |
| აზოტი | 15 | 5 | 1 | 9 | 145:348 | 17-52 | 10 |

II ტური

ხუთ 26. IX გუმარი — აზოტი
გელათი — აია
ქორები — ყოჩები

III ტური

ორ 30. IX აია — გუმარი
ყოჩები — გელათი
აზოტი — ქორები

IV ტური

შაბ 5. X გუმარი — ქორები
აია — ყოჩები
გელათი — აზოტი

V ტური

ხუთ 10. X ყოჩები — გუმარი
აზოტი — აია
ქორები — გელათი

### სანუგეშო ხუთეული

13. IX. ლელო 8 (ლ, ს) — უნივერსიტეტი 3 (ს); ასკ 62 (15) (9ლ, 7გ, ა) — ყოჩები II 10 (0) (2ლ)

20. IX. ასკ 21 (11) (2ლ: ქიპაშვილი, ნამიჩეიშვილი; გ: ძამიაშვილი; 3ს: აბუსერიძე - 2, ძამიაშვილი) — ლელო 13 (3) (ლ: სულთანიშვილი; გ: მაისაშვილი; 2ს: მოდებაძე, მაისაშვილი)

დინამო 6 (2ს) — უნივერსიტეტი 6 (6)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 2 | 2 | 0 | 0 | 83:23 | 11- 3 | 4 |
| ლელო | 2 | 1 | 0 | 1 | 21:24 | 2- 2 | 2 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 6: 6 | 0- 0 | 1 |
| უნივერსიტ. | 2 | 0 | 1 | 1 | 9:14 | 0- 1 | 1 |
| ყოჩები II | 1 | 0 | 0 | 1 | 10:62 | 2- 9 | 0 |

ამ ჯგუფში ხვალ თამაშობენ ყოჩები II — დინამო და უნივერსიტეტი — ასკ. შეჯიბრი 15 ნოემბრამდე გასტანს

## ველორბოლა

# მთამ ცულეს დასცადა

26 წლის შვეიცარიელ ალექს ცულეს (ონსე) აქამდე არასოდეს მოუგია დიდი ველოტური: 1993 წლის ვუელტაში (ესპანეთის ტურში) რომინგერის კვალად მეორე იყო, შარშან კი ტურ-დე-ფრანსში მხოლოდ ინდურაინს ჩამორჩა. ახლა, ესპანეთის ტურის ბოლო კვირის შუაწელი რომაა, ცულეს თუმც ცოტა გაუჭირდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება არ აეჭვებს, რადგან მის სპორტში მოქმედი ძმობის კანონით თანაგუნდელმა და მთავარმა კონკურენტმა, ფრანგმა ლორან ჟალაბერმა უნდა გაამარჯვებინოს, რაკი შარშან ალექსმა ესპანეთის შემოვლისას მისთვის მოიკლა თავი და ჩემპიონი გახადა. წელს შავი მუშობის ჯერი ლორანს დასდგომია და პირველობაზე აღარც ფიქრობს.

ამ ფონზე ორშაბათსა და სამშაბათს მორიგი ორი ეტაპი გაიმართა. ჯერ იყო და XVI-ზე (სოგრონო — საბინანიხო, 220 კმ) მონაწილეებმა ოდნავ მოითქვეს სული. ამაში ზურგქარი და მზიანი დარიც შეეწიათ. ჯგრომ მავანთა გაქცევის ყველა მცდელობა იოლად ალაგმა. პირველი გამოხდომა ფინიშიდან 20 კილომეტრის მოშორებით ალინუსხა, როცა ვინმე იგორ გოლდეანო (ეუსკადი) გაიჭრა წინ. მის ბასკურ გუნდს წელს არც იტალიის ჯიროში უასპარეზია და არც ტურ-დე-ფრანსში, რაკი ვუელტა ყველაფერს ურჩევნია.

გალდეანო „ტელეკომის" ბიჭებმა მოარჯულეს, ფინიშამდე 6 კილომეტრით ადრე ლტოლვილი იტალიელი ჯანი ბუნიო (მგ) კი — ყველამ. ჯგრო ლიდერთა გუნდის — ონსე-ს ჭკუაზე დადიოდა, ველების მიმდებარე პირენეის ფერდებზე კი უკვე ჩამოეთოვა.

ფინიში სპრინტით დასრულდა. იტალიელმა ნიკოლა მინალიმ (გევისი) წლევანდელი ვუელტას ეტაპებზე მეოთხედ გაიმარჯვა. მან დასკვნით 50 მეტრზე ველოსიპედის სამი სიგრძით ჩამოიტოვა გერმანელი შტეფენ ვეზერმანი (ტელეკომი). ამით იტალიელმა მრბოლებმა უკვე 10 ეტაპი მოიგეს და თავიანთივე რეკორდი ერთით გააუმჯობესეს.

ჯამურ ჩათვლაში ცულე 1.23-ით უგებდა ჟალაბერს, შვეიცარიელი ლორან დიუფო (ფესტინა) კი ლიდერს ხუთ წუთზე მეტით ჩამორჩებოდა.

XVII ეტაპზე (საბინანიხო — სერლერი, 158 კმ) თავი ისევ ონსე-ლებმა ისახელეს. რბოლამ აღმართ-აღმართ უმაღლეს წერტილს — ზღვის დონიდან 1930 მეტრზე მდებარე ალტო-დე-ამპრიუს უწია. იქ 1984 წელს ესპანელი ალბერტო ფერნანდესი დაღუპულა.

ცულემ მხარი ვერ აუბა კოლუმბიელ თანაგუნდელ ოლივერიო რინკონს, ვინაც დასკვნით 5 კილომეტრზე წამოიწყო იერიში. მანამდე მრბოლები ერთად მიდიოდნენ. ალექსმა საბოლოოდ 42 წამი წააგო, ფინიშზე კი ველოსიპედიდან თავისით ველარც ჩამოვიდა, მერე კი ხუთი წუთის მანძილზე სულს ითქვამდა.

რინკონს აყვნენ ჟალაბერი და დიუფო და ფინიშს ამავე რიგით უწიეს. მათთან ერთი წამი წააგო შვეიცარიელმა ტონი რომინგერმა (მაპეი), ვინაც ჯამში 8.51-ით ჩამორჩება ლიდერს. რაკი ჟალაბერმა და დიუფომ პრემიაც დაიმსახურეს, სხვაობა შეამცირეს, შესაბამისად 1.10 და 5.17-მდე, მაგრამ ცულეს პირველობაში ხელს სერიოზული ფათერაკი თუღა შეუშლის ხელს.

გუშინ სწორი და იოლი XVIII ეტაპი (ბენასკი — სარაგოსა, 222 კმ) იყო. დღესა და ხვალ რთული სამთო ეტაპებია, შაბათს — სიჩაუქის გამოცდა, კვირას კი ისევ სწორი, ბოლო ეტაპი, მონაწილეებს მადრიდში რომ მიიყვანს.

## ჩოგბურთი



კიმიკო ერთობ დაღალა გრაფივით ჯანიან მეტოქეებთან ამდენმა ჭიდილმა; ჰოდა, სპორტიდან მიდის!

ზეგ მსოფლიოს მე-7 ჩოგან ქალს, იაპონელ კიმიკო დატეს 26 წელი უსრულდება. ნავრატილოვასა და კონორსის მზეგრძელობის მცოდნე მკითხველი ალბათ იფიქრებს, პა, ახლა უნდა აიწყვიტოს ამ ტან-ჩია აზიელმაო, მაგრამ გუშინწინ, სახელდახელოდ გახერხებულ პრეს-კონფერენციაზე თავად კიმიკომ განაცხადა, წლის ბოლოს ჩოგბურთს თავს ვანებებ, ჩემი ბოლო ასპარეზობა კი ვტა-ს (ქალთა ასოციაციის) ტურის ჩემპიონატი იქნება, 18 ნოემბერს ნიუ-იორკში რომ იწყებაო.

# ტან-ჩია ქალს პროგნოზი აუხდა

დატემ ეგზომ უეცარი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ სპორტში ვითომც თავისი შესაძლებლობები ამოუწურავს და ბოლო წლებია, ნერვული და ფიზიკური ძალების უკიდურესი დაძაბვის ხარჯზეღა ძლებს ელიტაში. საინტერესოა, რომ ეს ყველაფერი კიმიკომ ჯერ კიდევ 1991 წლის საგაზეთო ინტერვიუში განჭვრიტა, როცა განაცხადა, ერთ-ორ წელში კლასიფიკაციის მოწინავე ათეულში შევაღწევ, სარბიელიდან კი 25 წლისა წავალო.

იმასაც ამბობენ, კიმიკოს მავანი იაპონური ტელე-სერიალის ვარსკვლავი, 35 წლის კიიჩი ნაკაი ყვარობს და საჩოგბურთოდ ველარ იცლისო. ქალმა ეს ჭორი ვერ უარყო, ნაკაი ოდენ მეგობრად მოიხსენია, მაგრამ ისიც დააზუსტა, მითხოვებას ჯერ არ ვაპირებო.

დატე ჩოგბურთს 6 წლის ასაკიდან თამაშობს. ვტა-ის კლასიფიკაციაში 1988 წლიდანაა, სადაც შარშან ნოემბერში მეოთხე პოზიციამდეც კი აღზევდა. შარშანვე ჩოგბურთის თამაშით მოხვეჭილი ფულით მილიონ-დოლარიან ზღურბლს გადააბიჯა და ლიპტონის პირველობის ფინალსაც უწია. გარდა ამისა, კიმიკოს ოთხჯერ მოუგია თავისი ქვეყნის ღია პირველობა. ამ გაზაფხულზე დატემ ფედერაციის თასზე თვით შტეფი გრაფი დაამარცხა და გერმანია მარტომ გააგდო, წლევანდელი უიმბლდონის ნახევარფინალში კი იმავე შტეფის კინაღამ მოუგო. ორივე თამაშმა სამ-სამი ხელი გასტანა.

დატემ წინა კვირაშიც იასპარეზა, ამჯერად — ტოკიოში, „არიაკე ტენის პარკში", ნიჩირეის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჰონორარებად 450 ათასი დოლარი დარიგდა. დატე იქ მესამე ნომრად იყო განთესილი და მართლაც ნახევარფინალს უწია.

ამ შეჯიბრის მეოთხედფინალები ასე დასრულდა: მონიკა სელეში (აშშ, 1) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია, 7) 6:1, 6:4; დატე (3) — ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა, 5, 1993 წლის გამარჯვებული) 6:3, 6:0; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2) — ვან ში-ტენი (ტაივანი, 8) 4:6, 6:1, 6:1; ქიმბერლი პო (აშშ) — მარი პირსი (საფრანგეთი, 4, შარშანდელი გამარჯვებული) 7:5, 6:4. ლოსანჯელესელმა პომ წინა წრეში აი სუგიამაც (იაპონია, 6) გაისტუმრა 6:2, 6:7, 6:4.

ერთ ნახევარფინალში სანჩესმა პო 6:4, 6:3 სძლია, მეორეში კი დატე სელეშს ერთობ გაუძალიანდა — 3:6, 6:1, 6:7 (6-8). გადამწყვეტ ხელში კიმიკომ ბრეიქი გაახერხა და 5:3 დაწინაურდა, მაგრამ მერე სამი მატჩ-პოინტი დაფლანგა. სელეშს ისე შეეცოდა მეტოქე, რომ სამედიოდ აწუგეშა, რა ცუდია, ჩოგბურთის მატჩს ერთბაშად ორი გამარჯვებული რომ ვერ ეყოლებაო.

ფინალში სელეშმა 6:1, 6:4 დაანგრია სანჩესი და წელს ნათამაშევი მე-12 შეჯიბრიდან მეხუთეში გაიმარჯვა. მონიკა ნიჩირეის ჩემპიონი 1991 და 1992 წლებშიც ყოფილა. ჯილდოდ მას 79 ათასი ერგო, სანჩესს კი — 38 500. ამით სელეშ — სანჩესის თამაშთა ბალანსი 12-1 გახდა ამერიკელის სასარგებლოდ. ეს მით უფროა საყურადღებო, რომ ზეგ ატლანტიკ-სითიში აშშ და ესპანეთი ფედერაციის თასის ფინალს გააჩაღებენ. მონიკა თავისი დაქალებითურთ ეცდება, რომ არანჩასა და მისიანებს ზედიზედ მეოთხე თასი არ დაანებოს. ისიც სათქმელია, რომ არანჩა ზედიზედ მეექვსე შეჯიბრის ფინალში გადის და მეექვსედ (!) მარცხდება.

## მსოფლიო რაგბი



# ქარლინგს

### განხეთქილება გულს უკლავს

ინგლისურ რაგბში კვლავ დიდი არეულობაა. მას აქეთ, რაც გაპროფესიულებულ თამაშში დიდძალი ფული დატრიალდა და ახალი ხალხი მივიდა, ძაღლი პატრონს ველარა ცნობს: კლუბები კავშირს ედავებიან, თავად კავშირი კი ბრიტანელმა მეზობლებმა ერთი პირობა მოიკვეთეს, რის გამოც საგაისო ხუთი ერის პირველობაც კი იშლებოდა.

პირველი და მეორე ჯგუფების 24 ბობოლა კლუბს შეუქმნია თავისი ასოციაცია, ე. წ. ეპრუპ, რომელიც თანამგზავრულ ტელე-სისტემა „სქაი-თი-ვი"-სთან დადებული სარფიანი კონტრაქტიდან რაგბის კავშირს მეტ წილსა სთხოვს, აქაოდა ახალ, პროფესიულ ხანაში გასავალი მეტი გვაქვსო. კავშირი ამაზე ყაბულს ვერაა, რაკი ფული რაგბის გასავითარებლად სჭირდება. ამიტომაა, რომ ეპრუპ-ი 11 ოქტომბერს კავშირიდან გამოყოფას გეგმავს.

მსგავსი რამ ერთხელ უკვე მოხდა — 1895 (!) წელს, რასაც ახალი თამაშის — ლიგის წარმოშობა მოყვა. ახლა იმავე მასშტაბის რამ მოსალოდნელი არაა, მაგრამ თუ საუკეთესო გუნდები ოფიციოზს განუდგნენ, მაშინ მათ საუკეთესო მოთამაშეებსაც აღარ უხმობენ ქვეყნის ნაკრებში. ამის მერე საკითხავი ისაა, თუ რა ფასი ექნება ამგვარად გამოხშირულ ინგლისის ნაკრებს — ვისღა მიიზიდავს მასთან შეხვედრა ან ვისღა დააინტერესებს მისი თამაშის ცქერა.

კლუბები დიდ გულზე არიან. კავშირის მიერ ნაკრების მოთამაშეებთან დადებულ კონტრაქტებს ახლახანს ყავლი გაუვიდა. რაგბის მამებმა 40-მდე ცნობილ მორაგბეს შარშანდელზე ორჯერ მეტი — 70-70 ათასი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ ეპრუპ-ის წაქეზებით ამათ წინადადება უარყვეს და ნაკრების საწვრთნელი ვარჯიშის ნაცვლად დაესწრნენ ეპრუპ-ის მიერ მოწყობილ პრეზენტაციას, რითაც კლუბებს ერთგულება დაუმტკიცეს.

ამგვარი განხეთქილება არ მოეწონა ნაკრების ყოფილ კაპიტან ვილ ქარლინგს, ვისაც მწვრთნელ ჯექ რაულთანაც ჰქონია უთანხმოება. ამ ცნობილმა შუამარბმა და მექალთანემ განაცხადა, არასწორად მიაჩნია, რომ მოთამაშეს გინდ მოსთხოვო და გინდ ურჩიო, ნაკრებში ნუ ითამაშებ — ქვეყნის სახელით ასპარეზობა ხომ უდიდესი პატივიაო!

ქარლინგი, მისი მეწყვილე ჯერემი გასქოთი, გარემარბი როური ანდერვუდი, ბებერი 8 ნომერი დინ რიჩარდსი და ზოგი სხვაც რაულმა არ შეიყვანა კანდიდატთა ვრცელ სიაში. მერე და მერე, ქვეყნის პირველობა რომ გახურდა, ქარლინგიდა გასქოთი ამ ნუსხას საგანგებოდ დაამატეს, აქაოდა კარგ ფორმაში არიანო.

ინგლისის ჩემპიონატი, მელუდე „ქარიჯი" რომ სპონსორობს, წელს ძალითა და გაქანებით ლამისაა ფეხბურთის პრემიერ-ლიგას დაემსგავსოს. ბობოლა კლუბებმა შემადგენლობები სამი წყაროდან შეივსეს: ერთი, რომ პირწმინდად გაძარცვეს შოტლანდია, ირლანდია და უელსი და ამათი ნაკრებების ბევრი წევრი გადაიბირეს; მეორე, მთელი მსოფლიოდან მოკრიბეს ჩამოწერილი ვარსკვლავები და მწვრთნელები: ავსტრალიელები ლაინაფი და დვაიერი, ფრანგები სელა და კაბანი და ა. შ. და მესამეც, მოკლევადიანი კონტრაქტებით ლიანგურად დაითრიეს ლიგის რაგბის მოთამაშეები, მეტადრე კი სამმეოთხედელები, რომლებსაც რაგბში მორკინალეებზე მეტი გასავალი აქვთ.

ლიგელებსაც რა ენაღვლებათ: წლევანდლიდან ლიგა ბრიტანეთში ზაფხულის სპორტია და იანვრამდე მსაში არდადეგებია. ჰოდა, მისი მოთამაშეები უქმობის ნაცვლად თან მონათესავე ბურთაობაში ჩაბმულან და თანაც ფულს იხვეჭენ.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29